ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba
akhalitaoba.ge

ოთხშაბათი, 21 ივნისი, 2023 | №120 (9156) | ფასი: 80 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა



## Edison Research: მოსახლეობის 57% ფიქრობს, რომ პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილი უნდა შეიწყალოს

გვ.2

# „გახარიასთვის პასუხის მოთხოვნის დრო არ არის!“



გვ.2

ლელა ჯეჯელავა: „ქართულმა ოცნებამ“ გაიგოს, რომ მას ხელისუფლებაში დარჩენის შანსი აქვს ნული!“



ლევან ალაფიშვილი: „ქართულ ოცნებას“ დიდი ხანია თავისი ერთგული ამომრჩეველი გაექცა“



გვ.3

## „შაქარიშვილი, „ხალხის ძალა“ საგაზაფხულო კულტურასავით აღმოცენდნენ“

## „სანქციები, მოსამართლეების მსგავსად, სხვებსაც უნდა შევხოთ“



შოთა მალაშხია: „საქართველოს მოსახლეობა ღირსია, რომ ევროკავშირის წევრობის კანდიდატობა მოგვანიჭონ, ხელისუფლების წარმომადგენლები კი უნდა დასანქცირდნენ“

გვ.4

ზაალ ანჯაფარიძე: „ოპოზიცია მუშაობს იმაზე, რომ „ქართული ოცნების“ ხელისუფლების პირობებში როგორმე სტატუსი არ მოგვანიჭონ“



გვ.3

## „სანამ სააკაშვილი საქართველოშია, ყოველთვის პრობლემები იქნება“

სასამართლომ გიორგი გაბუნიას „რუსთავი 2“-დან გათავისუფლება უკანონოდ მიიჩნია და ტელეკომპანიას კომპენსაციის გადახდა დააკისრა



გვ.5



შინაგან საქმეთა სამინისტრომ არასრულწლოვნებით ვაჭრობის ფაქტზე 1 პირი დააკავა

**2** რამდენ ხანში მოაღწევს კახოვკის ჰესის აფეთქების შედეგები შავი ზღვის საქართველოს სანაპირო ზოლამდე

**4** ვის საკუთრებაშია კომპანია „ჯორჯიან მანგანეზი“

**5** გიორგი კიკალეიშვილმა გიორგი გვარჯალაძეს ტექნიკა მოპარა

**6** სტოლტენბერგი: ვილნიუსის სამიტზე უკრაინას ნატოში არ მიიწვევენ

# „გახარიასთვის პასუხის მოთხოვნის დრო არ არის!“

## ლელა ჯეჯელავა: „ქართულმა ოცნებამ“ გაიგოს, რომ მას ხელისუფლებაში დარჩენის შანსი აქვს ნული!“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ანალიტიკოსი ლელა ჯეჯელავა პასუხობს.

***– ქალბატონო ლელა, ბოლო პერიოდია აქტიურად ვისმენთ შეფასებებს, რომ ხელისუფლებას მიზანმიმართულად სამოქალაქო დაპირისპირებისკენ მიჰყავს სიტუაცია. თუნდაც ეს ბოლოდროინდელი ინციდენტები, რა ხდება, რასთან გვაქვს საქმე? ეს არის რეპეტიცია წინასაარჩევნოდ, თუ ეს არის მიზანმიმართული საბოტაჟი კანდიდატის სტატუსის წინააღმდეგ?***

– ჩვენ ნუ გვავიწყდება და მკაფიოდ გავიაზროთ ერთი მოცემულობა – „ქართული ოცნების“ ხელისუფლება გახლავთ მოკავშირე ტერორისტად აღიარებული ქვეყნისა.

მოლოდინები იმასთან დაკავშირებით, რომ „ქართული ოცნებისგან“ შეიძლება ვნახოთ რაიმე ძალისხმევა ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის მისაღებად, რაიმე ცივილიზებული ქმედება საკუთარ ქვეყანაში პოლარიზაციის შესამცირებლად, რაიმე ტიპის კომპრომისი იმ საზოგადოებასთან, რომელსაც მკაფიოდ აქვს გადაწყვეტილი, რომ საქართველოს ადგილი არის ევროპულ ოჯახში, ეს არის სრულიად წარმოუდგენელი. ამიტომ ჩვენ ახლა იმაზე ნაკლებად უნდა ვიფიქროთ, თუ რას აკეთებს ხელისუფლება. აკეთებს იმას, რაც უნდა გააკეთოს ტერორისტი ქვეყნის მოკავშირე ხელისუფლებამ.

***– „ოცნება“ ახალისებს ძალადობრივ ჯგუფებსო. ლევან ბერძენიშვილს დაესხნენ თავს ჭავჭავაძის გამზირზე.***

– ამ შემთხვევაში ძალიან მარტივად არის საქმე. როგორც რუსეთი ემუქრება კაცობრიობას ბირთვული იარაღით, თუ რუსეთი არ იქნება ძალაუფლების პიკში, მაშინ მთელი სამყარო განადგურდესო, ზუსტად ისეა, ოღონდ შედარებით მცირე მასშტაბებით საქართველოს ხელისუფლება. ესენი ამბობენ, თუ მე არ ვიქნები ხელისუფლებაში, ჩემს მერე ქვა-ქვაზე ნუ დარჩენილაო. აი ეს არის, ძალიან მარტივად არის საქმე. ახლა მნიშვნელოვანი ის კი არ არის, ესენი როგორ იქცევიან.

***– ამ შემთხვევაში რა არის მნიშვნელოვანი?***

– ის, თუ რას ვაკეთებთ ჩვენ, საზოგადოება, როგორ ვაპირებთ, თავი დავაღწიოთ ტერორისტების მეგობარ ხელისუფლებას?!

***– ამ ფონზე რამდენად სწორად იქცევა ოპოზიცია? შექმნილ ვითარებას რამდენად პასუხისმგებლობით ეკიდებიან? ან თუნდაც სააკაშვილის ბოლო პერიოდის გააქტიურება?***



**„ოპოზიციაში რაღაცა მიზიდულობის ცენტრებზე დაიწყეს ლაპარაკი. გადასარევია ეს ყველაფერი, მაგრამ ამდენი ხანი რით ვერ მიიზიდეს ერთმანეთი?!“**

– სააკაშვილი საქართველოში რამდენი წელი არ იყო? მერე იყო ციხეში, იყო მძიმედ, ფიზიკურად არ იყო ისეთ მდგომარეობაში, რომ აქტიურად ჩარეულიყო ქართულ პოლიტიკაში. რა გააკეთეს მანამდე?! ქვეყნის გარეთ მყოფი სააკაშვილი ხელის შემშლელია, ქვეყნის შიგნით მყოფი სააკაშვილი ხელის შემშლელია, პოლიტიკურად პასიური ხელის შემშლელია, პოლიტიკურად აქტიური ხელის შემშლელია?! ვერ ხვდებიან, რომ „ოცნებას“ კი არა „ოცნებაზე“ მეტად თვითონ აწყობთ, საკუთარი უუნარობის გასამართლებლად, სააკაშვილის ფაქტორი. საერთოდ რა გააკეთეს, რა შესთავაზეს იმაზე უკეთესი საზოგადოებას, რომ სააკაშვილის ფაქტორი გაენეიტრალებინათ.

***– გადაბრალების რეჟიმში არიან?***

– რა მნიშვნელობა აქვს ოპოზიცია საკუთარ უუნარობას ბიძინა ივანიშვილს დააბრალებს თუ სააკაშვილს?! სხვას რას აკეთებენ? ბიძინა ივანიშვილი რომ ცუდი ხელისუფალია, ისედაც გადასარევად ვიცით. ახლა თურმე სააკაშვილის გარეშე უნდათ ცხოვრება. მიშა არ იქნება? ახალ სამიზნეს შეარჩევენ, თავად არა აქვთ უნარი არც იდეების გენერაციისა, არც ხედვა აქვთ ქვეყნის მომავალი განვითარებისა და ამას ყველაფერს ფუთავენ იმით, რომ სააკაშვილი ცუდია. სააკაშვილს ვერდიქტი გამოუტანა ქართველმა ხალხმა და 11 წლის წინ გაუშვა ხელისუფლებიდან. შეიძლება ხელისუფლებაში არმყოფი კაცის გავლენებზე ილაპარაკო?! თან ამბობენ, რომ სააკაშვილი წარსულიაო და მეორე წუთს ამბობენ, მე ეს წარსული ხელს მიშლის, რომ მომავალი შევქმნაო. მაშინ საერთოდ ვინა ხარ შენ?!

***– ასეთ სიტუაციაში რა შანსები აქვს ოპოზიციას გასაერთიანებლად? მაინც ნაციონალებთან მივლენ?***

– ბოლოს ისეთი სიტუაცია შეიქმნება, რომ შეიძლება ასარჩევად აღარავის ჰქონდეს საქმე. პრიორიტეტები დაალაგონ სწორად, ეს არის ჩემი რჩევა. მათ პრიორიტეტები აქვთ არეული. ახლა იმაზე ლაპარაკი, ვინ ცუდია, ვინ კარგი და ვინ ვისზე უკეთესი, არის სრულიად აბსურდული. შესაბამისად, ძალიან მნიშვნელოვანია ის, რომ გაიაზრონ, ამ ხელისუფლების შესაცვლელად, თუნდაც არჩევნებამდე ან არჩევნების პერიოდში, უნდა შეიქმნას ისეთი ფორმულა, რომელიც უპირობოდ განაპირობებს ამ ხელისუფლების დამარცხებას! ქართული ოპოზიცია არავის გაუთავისუფლებია იმ პასუხისმგებლობისგან, რომ 2018 წლიდან მოყოლებული, ყველა არჩევნებში, ქართული საზოგადოება უარს ეუბნება ხელისუფლებას, მაგრამ ოპოზიციის უუნარობის გამო, დღემდე ხელისუფლებაში გვყავს „ქართული ოცნება“. ვინ გაანთავისუფლა ეგენი ამ პასუხისმგებლობისგან?! ხომ არ ჰგონიათ, რომ ყველაფერს გადასარევად აკეთებენ? არ აკეთებენ! ახლა დაიწყეს ლაპარაკი რაღაცა მიზიდულობის ცენტრებზე. კი ბატონო, გადასარევია ეს ყველაფერი, მაგრამ ამდენი ხანი რით ვერ მიიზიდეს ერთმანეთი?! პოლიტიკური მიზიდულობის ცენტრს სამი რამ სჭირდება.

***– კერძოდ?***

– ფული, რომელიც ამათ არა აქვთ, მეორე ეს არის პოლიტიკური იდეა, რომელიც 11 წლის განმავლობაში ვერ დადეს და მესამე და ძალიან მნიშვნელოვანი, პოლიტიკური ფიგურა, რომელიც არის დაუზიანებელი და იწვევს ნდობას. მე დღეს ვხედავ ერთს, არის ბიძინა ივანიშვილი და მას აქვს თავისი მიზიდულობის ცენტრი. ოპოზიციურ ფლანგზე ვერც პოლიტიკურ იდეას ვხედავ და ვერც პოლიტიკურ ფიგურას, რომელიც არის რეპუტაციულად დაუზიანებელი.

***– დაუზიანებელ პოლიტიკურ ფიგურაზე საუბრობთ და გუშინ 20 ივნისი იყო და ისევ გახარია გამახსენდა, რომელსაც მოუწოდებენ აქტიურობისკენ. სად არის გახარია, რატომ არ აქტიურობს და რა შანსები აქვს და რამდენად მძიმე ლაქაა მისთვის 20 ივნისი?***

– გახარია, ცხადია დაუზიანებელ პოლიტიკურ ფიგურაში ნამდვილად არ მოიაზრება, მაგრამ ამ ეტაპზე მისი პოლიტიკური ხედვა არის სახელმწიფოებრივი, ის მხარს უჭერს საქართველოს ევროატლანტიკურ ინტეგრაციას, ის არის აქტიურად ჩართული საერთაშორისო პარტნიორებთან კონსულტაციებში იმისთვის, რომ საქართველომ მიიღოს კანდიდატის სტატუსი. მისი დღევანდელი პოზიციიდან გამომდინარე, არც მისთვის არის წითელი ხაზების დაწესება აუცილებელი. არა მარტო გახარიას აქვს ბევრ კითხვაზე პასუხი გასაცემი, არამედ გახარიამდე პოლიტიკაში მყოფ და გახარიას შემდეგ მოსულ ადამიანებსაც. ახლა პასუხების მოთხოვნის დრო არ არის. ახლა კონკრეტული მოქმედების დროა.

***– არის იმის შანსი, რომ გახარია იქცეს ოპოზიციაში მიზიდულობის ცენტრად?***

– გახარია თუ უფრო ახლოდან არ დაენახება საზოგადოებას, არც ისეთი მწველი მზეა, რომ შორიდან დაგვწვას. ახლოს ეს ადამიანი პოლიტიკაში არ შემოდის და როგორ გახდება მიზიდულობის ცენტრი. მე არა მგონია, რომ მას ასეთი პოლიტიკური ამბიცია ჰქონდეს, რომ ის გახდეს მიზიდულობის ცენტრი. თუმცა, არსებობენ პოლიტიკური ძალები, რომლებსაც ამის ამბიცია აქვთ, მაგრამ მარტო ამბიცია არ არის საკმარისი. საჭიროა შესაბამისი ქმედებები! ხოლო რაც შეეხება მიხეილ სააკაშვილის გააქტიურებას, ეს იმდენად მაინც არის სწორი ნაბიჯი, რომ საკუთარი ამომრჩევლის კონსოლიდაციას ცდილობს. ყველას თავის წილი პასუხისმგებლობა აქვს ამ პროცესში. ყველამ გაიაზროს ეს და თავის გასაკეთებელი საქმე გააკეთოს. სააკაშვილი დაუძახებს, გახარია მოუწოდებს თუ სხვა, ყველა უნდა იყოს იქ, სადაც ქვეყნის ბედი წყდება!

„ქართულმა ოცნებამ“ გაიგოს, რომ მას ხელისუფლებაში დარჩენის შანსი აქვს ნული! მისი ერთადერთი იარაღი რაც ხელთ აქვს, არის ძალადობა. ამ ძალადობას კი შეიძლება დაუპირისპირდეს მხოლოდ საზოგადოების ერთიანობა!

# Edison Research: მოსახლეობის 57% ფიქრობს, რომ პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილი უნდა შეიწყალოს

Edison Research-ის საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის შედეგებით, მოსახლეობის 57% ფიქრობს, რომ პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილი უნდა შეიწყალოს. 43% კი ფიქრობს, რომ ზურაბიშვილმა მიხეილ სააკაშვილი არ უნდა შეიწყალოს.

საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვა ტელეკომპანია „ფორმულას“ დაკვეთით ავტორიტეტულმა საერთაშორისო კვლევითმა კომპანიამ Edison Research-მა ჩაატარა.

კვლევის ფარგლებში, პირისპირი გამოკითხვის მეთოდით, ქვეყნის მასშტაბით შემთხვევითი შერჩევით გამოიკითხა საქართველოში მცხოვრები 1 500 საარჩევნო უფლების მქონე 18 წლისა და მეტი ასაკის ადამიანი (ოკუპირებული ტერიტორიების გარდა).

ცდომილება არის +/– 3%. საველე სამუშაოები მიმდინარეობდა 25 მაისი-14 ივნისის პერიოდში.

### მოსახლეობის 61%-ის აზრით, პრეზიდენტმა ნიკა გვარამია უნდა შეიწყალოს

Edison Research-ის საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის შედეგებით, მოსახლეობის უმრავლესობა ფიქრობს, რომ პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა ნიკა გვარამია უნდა შეიწყალოს.

შეკითხვაზე, უნდა შეიწყალოს თუ არა პრეზიდენტმა ნიკა გვარამია, პასუხები ასე ნაწილდება: კი – 61%; არა – 39%

საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვა ტელეკომპანია „ფორმულას“ დაკვეთით ავტორიტეტულმა საერთაშორისო კვლევითმა კომპანიამ Edison Research-მა ჩაატარა.

### 61%-ის აზრით, აშშ-ის მიერ მოსამართლეთა სანქცირება სამართლიანია

Edison Research-ის კვლევის თანახმად, მოსახლეობის 61% ფიქრობს, რომ აშშ-ის მიერ ქართველი მოსამართლეების სანქცირება სამართლიანია. კვლევის თანახმად, 39%-ს ეს არასამართლიანად მიაჩნია.

საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვა ტელეკომპანია „ფორმულას“ დაკვეთით ავტორიტეტულმა საერთაშორისო კვლევითმა კომპანიამ Edison Research-მა ჩაატარა.

# რამდენ ხანში მოაღწევს კახოვკის ჰესის აფეთქების შედეგები შავი ზღვის საქართველოს სანაპირო ზოლამდე

მას შემდეგ, რაც რუსმა ოკუპანტებმა კახოვკის ჰიდროელექტროსადგური ააფეთქეს, გაჩნდა კითხვა, მოაღწევს თუ არა დამაბინძურებლები შავი ზღვის საქართველოს სანაპირო ზოლამდე. მართალია, გარემოს ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, ჩატარებული ლაბორატორიული კვლევების მიხედვით, ამ დროისთვის, შავი ზღვის წყლის ხარისხი მთელ პერიმეტრზე ნორმის ფარგლებში, თუმცა, დარგის სპეციალისტები ამბობენ, რომ კახოვკის ჰესის აფეთქების შედეგები, საქართველომდე დაახლოებით, ორ თვეში მოაღწევს.

– თეორიულად, ალბათ, საქართველოს ნაპირებთანაც მოაღწევს დამაბინძურებლები (და, არც ასაფეთქებელი საბრძოლო მასალებია გამორიცხული). საერთოდ, შავი ზღვის ზოგადი ცირკულაცია დღეს კარგად არის შესწავლილი, ციკლონური მოძრაობა აქვს მთლიანად შავ ზღვას, ადვილი გასაგები რომ იყოს, საათის ისრის საწინააღმდეგოდ.

დინების სიჩქარე შავ ზღვაში საშუალოდ შეიძლება შევაფასოთ, 20-30 სანტიმეტრი წამში, შავი ზღვის სიგრძე კი, ანუ რა მანძილი უნდა გაიაროს დინებამ, დაახლოებით 1.200-1.300 კმ-ია. ჩვენამდე ეს, ალბათ, დაახლოებით თვე-ნახევარ-ორ თვეში მოაღწევს, – განაცხადა თსუ-ს მიხეილ ნოდიას სახელობის გეოფიზიკის ინსტიტუტის მთავარმა მეცნიერმა, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა დემურ დემეტრაშვილმა გადაცემაში „საქმე“.

# გომელაური საქართველოში ევროკავშირის წევრი ქვეყნების ელჩებს შეხვდა

შინაგან საქმეთა მინისტრმა, ვახტანგ გომელაურმა, საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობის ხელმძღვანელთან – პაველ ჰერჩინსკისთან, ევროკავშირის წევრი ქვეყნების ელჩებსა და საელჩოების წარმომადგენლებთან შეხვედრა გამართა.



შეხვედრაში მონაწილეობდნენ ავსტრიის, ჩეხეთის, გერმანიის, დანიის სამეფოს, ესტონეთის, ესპანეთის, საბერძნეთის, საფრანგეთის, უნგრეთის, იტალიის, ლატვიის, ლიეტუვას, ნიდერლანდების, პოლონეთის, რუმინეთისა და შვედეთის სამეფოს ელჩები და საელჩოების წარმომადგენლები.

შეხვედრის ფარგლებში, მხარეებმა თბილისი პრაიდის კვირეულის ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიებების უსაფრთხო გარემოში ჩატარების საკითხი განიხილეს. ვახტანგ გომელაურმა ევროპელ პარტნიორებს დეტალური ინფორმაცია მიაწოდა შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლების, თბილისი პრაიდის ორგანიზატორებისა და საერთაშორისო პარტნიორების ერთობლივი სამუშაო ჯგუფის საქმიანობის შესახებ. შეხვედრაზე აღინიშნა, რომ ერთობლივი სამუშაო ჯგუფი აქტიურად საქმიანობს ინფორმაციის გაზიარებასა და კოორდინაციის გზით, ღონისძიებების უსაფრთხო გარემოში ჩატარების უზრუნველსაყოფად.

შეხვედრის დასასრულს, შინაგან საქმეთა მინისტრმა საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობის ხელმძღვანელს, ევროკავშირის წევრი ქვეყნების ელჩებსა და საელჩოების წარმომადგენლებს მადლობა გადაუხადა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთან აქტიური და მჭიდრო თანამშრომლობისთვის.

ISSN 1987-9385

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მურაბ ლეჟავაშვილი

ვებგვერდი: akhalitaoba.ge
ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „შაქარიშვილი, „ხალხის ძალა“ საგაზაფხულო კულტურასავით აღმოცენდნენ“

## ლევან ალაფიშვილი: „ქართულ ოცნებას“ დიდი ხანია თავისი ერთგული ამომრჩეველი გაექცა“



ნათია ხურცილავა

**კონსტიტუციონალისტი ლევან ალაფიშვილი „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.**

***– ბატონო ლევან, ბოლო დღეებში საზოგადოებრივ ჯგუფებს შორის, სტუდენტებს შორის ფიზიკური ძალადობა გახშირდა. რამდენად არსებობს საფრთხე, რომ ეს ყველაფერი არჩევნების მოახლოების ფონზე სამოქალაქო დაპირისპირებაში გადაიზარდოს?***

– ნაკლებად მოსალოდნელია, რომ უფრო მასშტაბური სახე მიიღოს და სამოქალაქო დაპირისპირებაში გადაიზარდოს. ასეთ რამეს მე გამოვრიცხავ. თუმცა, სულაც არ გამოვრიცხავ, რომ შეიძლება ვინმე ოცნებობს, რომ ეს ყველაფერი უფრო ფართომასშტაბიანი გახდეს. მაგრამ ჩვენი საზოგადოება ბევრად უფრო გაიზარდა, ბევრად უფრო აქვს შეგნებული სახელმწიფო, მისი ბედი და მომავალი, ვიდრე ამას პოლიტიკოსები აცნობიერებენ. ამიტომ სრულიად გამოვრიცხავ მსგავს საფრთხეს.

მეორე მხრივ, უნდა აღვნიშნო, რომ ვილაცეებს, მათ, ვისაც, არ ეთმობათ არაფრით ხელისუფლება და ჰგონიათ, რომ სამუდამოდ უნდა იყვნენ ხელისუფლებაში, მსგავსი დაპირისპირებები საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფებს შორის, მათ შორის, რაოდენ სახიფათოც არ უნდა იყოს, სტუდენტებს შორის ასეთი დაპირისპირება აწყობთ. აწყობთ მარტივი მიზეზის გამო, ყურადღების გადატანა ხდება რეალური, ამ ქვყნისთვის მნიშვნელოვანი პრობლემებიდან. მაგალითად, მოგვცემენ თუ არა ევროკავშირის წევრი ქვეყნის სტატუსს. ან რამდენად ხარისხიანად სრულდება ის საშინაო დავალება, რომელიც მოგვცეს. ბევრი ყურადღებაგადასატანი მიზეზი აქვს ხელისუფლებას. ეს ასე ხდებოდა 2011 წელსაც და ასე ხდება წელსაც, ძალიან მნიშვნელოვანი არჩევნების წინ.

***– ფიქრობთ, წინასაარჩევნო კამპნია ასეთ დაძაბულ რეჟიმში ჩაივლის?***

– დიახ, შეიძლება უფრო მძაფრიც კი გახდეს მოვლენები. როგორც გითხარით, ხელოვნურად ხდება წინასაარჩევნოდ ტემპერატურის აწევა. თუმცა, ცოტა ადრე დაიწყო. მათ აწყობთ, რომ წინასაარჩევნო კამპანია დაძაბულობაში გადაიყვანონ და მთავარიდან ყურადღების გადატანა მოხდეს ცემაზე, ჩხუბზე, დაკავებაზე და ა.შ. ეს სცენარი უცხო და ახალი არ არის ჩვენი საზოგადობისთვის. მეტიც, კარგად აპრობირებული მეთოდია ჩვენი პოლიტიკოსების ხელში. ამ ყველაფერში მთელი უბედურება იმაშია, რომ ამას არაფერი კარგი შედეგი არ მოაქვს ამ ქვეყნისთვის, მისი განვითარებისთვის. ეს ყველაფერი უკან გვწევს.

2016 წლის არჩევნები მახსენდება, რომელიც ასეთივე კრიზისული იყო. იყო კორცხელის ინციდენტი, რომელმაც ასევე უკან დაგვხია. ეს ის არის, რასაც არავითარი შედეგი არ მოაქვს. პირიქით, დემოკარტიის გზაზე, ამ სახელმწიფოს განვითრაების გზაზე სერიოზულ დაბრკოლებებს გვიქმნის. თუმცა, ამის გაცნობიერება არც ერთი მხრიდან არ ხდება.

***– კობახიძე დეპოლარიზაციაზე საუბრობს.***

– დიახ, ისაუბრებს, მაგრამ არავითარ ქმედით ნაბიჯს არ გადაგამს. საქმით არაფერს გააკეთებს, ამაშია საქმე.

ნებისმიერი ხელისუფლება, ვინც არ უნდა იყოს, როდესაც ამომრჩევლის მხარდაჭერა და ნდობა არ აქვს და მიუხედავად ამისა, მაინც უნდა ხელსუფლებაში დარჩენა, კონფრონტაციაზე გადადის. ბევრი მიზეზის გამო აკეთებს ამას. მთავარი მიზეზი კი, როგორც გითხარით, ყურადღების გადატანაა. ის ცდილობს, ხელოვნურად შექმნას ვითარება, რომ თუ არა ის ხელისუფლების სათავეში, სტაბილურობა დაირღვევა და სამოქალაქო დაპირისპირების საფრთხე შეიქმნება. ამიტომაც ქმნის ისეთ ჯგუფებს, რომლებიც ნებისმიერი კონფრონტაციისთვის არიან მზად. არათუ მზად არიან, დავალება აქვთ. ან კიდევ ხდება ისეთი მარადიული ჭეშმარიტებით მანიპულირება, როგორიცაააა – დედა რომ დედაა, მამა – მამა და ა.შ. ჩვენ საზოგადოებას ამაზე რად უნდა ლექცია, უბრალოდ გაუგებარია თუ არა ის მიზეზი, რაზეც უკვე გესაუბრეთ. ამაზე ქართველ ერს დიდი ხანია კონსენსუსი აქვს და რა საჭიროა ამაზე გამოსვლები და განცხადებები.

***– ამის პოლიტიკური სარჩული რა შეიძლება იყოს?***

– „ქართულ ოცნებას“, მმართველ პარტიას დიდი ხანია თავისი ერთგული ამომრჩეველი გაექცა. ზურგი აქცია. როგორც ჩანს, წინასაარჩევნოდ მათი მობრუნება თუ კონსოლიდირება არის მიზანი. ისინი თვლიან, რომ მათი ამომრჩეველი უფრო კონსერვატიულ ფრთას წარმოადგენს და ამ ველზე მუშაობენ. თუმცა, ვერ ხვდებიან, რომ პარალელურად ბევრ რამეს აზიანებენ და აფუჭებენ. ეს არის „ურა პატრიოტიზმი“. თუმცა, ამასაც თავი რომ დავანებოთ, ისეთი იდეოლოგიზირებული ჯგუფების სახელდახელოდ შექმნა, როგორიც არის შაქარიშვილის „აი ია“ ან „ხალხის ძალა“, ესენი სწორედ პოლარიზაციისკენ არის მიმართული და არა დეპოლარიზაციისკენ. ეს ჯგუფები საგაზაფხულო კულტურასავით აღმოცენდებიან და მერე ორ-სამ თვეში ქრებიან. დანიშნულებისამებრ ხარობენ.

***– შეძლებენ ხმების მობილიზებას?***

– გააჩნია როგორი იქნება პოლიტიკური ლანდშაფტი. მოწინაალმდეგე მხარე ანუ ოპოზიცია იმდენ შეცდომას უშვებს, რომ ბევრი შრომა არ უწევს მმართველ პარტიას. იცით როგორ არის, ხელისუფლება კი არ იგებს, ოპოზიცია აგებს. ეს კი აწყობს „ოცნებას“. ამიტომ ყველაფერს გააკეთებს, რომ თვითონ კი არ მოიგოს, მოწინაალმდეგემ წააგოს. ეს კი მისთვის სასარგებლო შედეგს აყენებს.

# „სანამ სააკაშვილი საქართველოშია, ყოველთვის პრობლემები იქნება“

## ზაალ ანჯაფარიძე: „ოპოზიცია მუშაობს იმაზე, რომ „ქართული ოცნების“ ხელისუფლების პირობებში როგორმე სტატუსი არ მოგვანიჭონ“



**„ახალი თაობის“ კითხვებს ანალიტიკოსი ზაალ ანჯაფარიძე პასუხობს.**

გულიკო ბალაძე

***– ბატონო ზაალ, მიხეილ სააკაშვილის პოლიტიკაში დაბრუნებას როგორ აფასებთ? სააკაშვილის დაბრუნება ქართულ პოლიტიკაში რას შეცვლის? თუ დაბრუნდა.***

– ჯერ სააკაშვილი ქართულ პოლიტიკაში დაბრუნდეს და მერე ვიმსჯელოთ. მე მგონი, სააკაშვილის განცხადება უფრო ნიადაგის მოსინჯვაა, მის განზრახვას რამდენი პარტია, რამდენი საზოგადოებრივი ორგანიზაცია და რამდენი მოქალაქე დაუჭერს მხარს. სააკაშვილის განცხადების მიზანი ეს არის.

სააკაშვილი გრძობს, რომ ოპოზიცია ლიდერის გარეშეა დარჩენილი, ერთიანი ლიდერის პოზიცია ვაკანტურია და გადაწვიტა, ბედი კიდევ ერთხელ სცადოს – საკუთარი თავი შესთავაზოს.

სააკაშვილმა განცხადება გააკეთა და დაელოდება რეაქციებს. გაარკვევს, როგორი გამოხმაურება იქნება ნაცმოძრაობიდან, რამდენი პოლიტიკური პარტია, საზოგადოებრივი ორგანიზაცია თუ ჯგუფი მოუწონებს ამ იდეას და მხარს დაუჭერს. შემდეგ ნაბიჯებს იმის მიხედვით გადადგამს.

***– ანუ ჯერ განცხადება გააკეთა და პოლიტიკაში არ დაბრუნებულა.***

– სააკაშვილი პოლიტიკაში როგორ უნდა დაბრუნდეს, როდესაც საქართველოს მოქალაქე არ არის. საქართველოს კანონმდებლობა უცხო ქვეყნის მოქალაქეებს პოლიტიკურ საქმიანობაში ჩაბმასა და პოლიტიკური მოძრაობების დაფუძნებას უკრძალავს. შესაბამისად, ის პოლიტიკურ საქმიანობაში რანაირად უნდა ჩაებას?

ფეისბუქზე პოსტების წერის დონეზე თუ გააგრძელებს, ასე უკრაინიდანაც იყო რაღაცნაირად ჩაბმული, განცხადებებს ავრცელებდა, იქიდან იწერებოდა, ხვალ ჩამოვალ, ზეგ ჩამოვალო.

დავუშვათ, ისე რომ მოხდეს, სააკაშვილი ციხიდან გამოუშვან და სამკურნალოდ საზღვარგარეთ გაუშვან, პოლიტიკაში მაინც ვერ შემოვა, რადგან ის საქართველოს მოქალაქე არ არის.

***– თუმცა, ნაცმოძრაობის თავმჯდომარე ხაბეიშვილი აცხადებს, რომ სააკაშვილი ქართულ პოლიტიკაში ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი იქნება, „ივანიშვილი და რუსული პარტია“ ისტორიას ვერ წაშლისო.***

– როგორ შეიძლება ხაბეიშვილის დონის ადამიანის განცხადებების სერიოზულად განხილვა, მას ეუბნებიან იმას, რაც უნდა ილაპარაკოს და ლაპარაკობს იმას, რასაც დაავალებენ.

სანამ სააკაშვილი საქართველოშია, ყოველთვის პრობლემები იქნება. ის არის ხელისუფლებისთვის მუდმივი პრობლემების შექმნის ფაქტორი.

***– რას გულისხმობთ?***

– სანამ სააკაშვილი პატიმრობაშია, ევროპელები და ამერიკელები გვეუბნებიან, მესამე პრეზიდენტი პატიმრობაშია, ეს ჩვენ არ მოგვწონს და იქნებ გაუშვათო. ისე, სააკაშვილის პოლიტიკური წონა, მისი პოლიტიკური აქციების ფასი ძალიან სერიოზულადაა დაცემული იქიდან გამომდინარე, ციხეში როგორც იქცეოდა, საზოგადოებას ატყუებდა, თითქოს შიმშილობდა, მერე გაირკვა, რომ არ შიმშილობდა.

ასევე „ვივამედში“ ყოფნის წელიწადზე მეტი ხნის განმავლობაში მისი ექიმები, ოჯახის წევრები თუ მხარდამჭერები აცხადებდნენ, რომ სააკაშვილი დღეს-ხვალ ცოცხალი აღარ იქნებოდა. ახლა გაირკვა, რომ თურმე ადამიანს არც დემენცია სჭირს და არც ის 40 დაავადება, რაზეც საუბრობდნენ, ანუ მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა საშუალებას აძლევს, პოლიტიკაში აქტიურად ჩაერთოს.

ისმის ლოგიკური კითხვა: დემენციის, ანუ გონებრივი ჩამორჩენილობის მქონე ადამიანი როგორ შეიძლება პოლიტიკაში ჩაერთოს? პოლიტიკაში აქტიური ჩართვის შემთხვევაში, მისი მარგი ქმედების კოეფიციენტი როგორი იქნება? რატომლაც კითხვას არავინ სვამს, რამ გამოიწვია ეს მეტამორფოზა?

***– რამ გამოიწვია?***

– ვფიქრობ, სააკაშვილი დარწმუნდა, რომ ჯერჯერობით ციხიდან თავის დაღწევის საშუალება არ აქვს და გადაწყვიტა, იქნებ თავისი პოლიტიკური აქტუალიზაციით რაღაცას მიაღწიოს.

***– სხვათა შორის, ნაცმოძრაობის ერთ-ერთი დეპუტატი სააკაშვილს ნელსონ მანდელას ადარებს.***

– ახლა ჩვენ ქუჩაში რომ გავიდეთ და 10-15 ადამიანი გავაჩეროთ, დარწმუნებული ვარ, იქიდან უმრავლესობამ შეიძლება ვერ გვითხრას, კონკრეტულად ვინ იყო ნელსონ მანდელა, რით არის ის ცნობილი. როგორ შეიძლება სააკაშვილისა და ნელსონ მანდელას შედარება?

ნელსონ მანდელა ციხეში იჯდა და მილიონად პიარ-ჯგუფები არ დაუქირავებია, რომ მისი ციხიდან გამოშვებაზე ეზრუნათ, მთელ მისჯილ ვადას ვაჟკაცურად იხდიდა, სანამ გარემოებები შეიქმნებოდა – სამხრეთ აფრიკული რეჟიმი დაეცა და იძულებულები იყვნენ, გაეთავისუფლებინათ.

***– ხაბეიშვილი რომ ამბობს, „ივანიშვილი და რუსული პარტია“ ისტორიას ვერ წაშლისო, რომელი ისტორიის წაშლაზეა საუბარი?***

– ეს არის ისტორია, რომელიც ნაცმოძრაობისა და მისი მომხრეებისთვის 2003 წლიდან იწყება. მათთვის საქართველოს ისტორიის ათვლა 2003 წელიდან იწყება. ზოგიერთს მართლა სერიოზულად სჯეროდა, რომ საქართველოს ისტორიის ათვლა 2003 წლის ნოემბრიდან იწყებოდა.

***– ყველა წინადადებაში „ოცნებაზე“ ამბობენ, „ივანიშვილი და რუსული პარტიაო“, რუსული-რუსულის ძახილი რას ემსახურება, მაშინ, როდესაც ქვეყანა ძალიან მნიშვნელოვან ეტაპზეა გადასასვლელი და კანდიდატობისთვის იბრძვის?***

– ეს იმითაა გამოწვეული, ოპოზიციას ხელში სხვა არაფერი დარჩა, გარდა იმისა, რომ „ქართული ოცნება“ პრორუსულ ძალად წარმოაჩინოს, რომელიც თითქოს საქართველოს რუსეთისკენ ექაჩება. ამას იმიტომ აცხადებენ, ოპოზიციას არავითარი პოზიტიური დღის წესრიგი არ აქვს. ისინი საზოგადოებას ვერაფერს დადებითსა და საინტერესოს ვერ სთვაზობენ, ან არ სთავაზობენ, მაგრამ იციან, რომ ეს სატყუარა საზოგადოების ნაწილში კარგად იყიდება.

განსაკუთრებით, იმ ახალგაზრდებში, რომლებიც „ქართულ ოცნებას“ უპირისპირდებიან. ისინი სხვადასხვა გაერთიანებების წევრები, ან უნივერსიტეტების სტუდენტები არიან, რომლებსაც ნაცმოძრაობის პროფესურა აკონტროლებს. ეს კარგად იყიდება გარკვეულ ევროპულ და ამერიკულ წრეებში.

ამაში არაერთხელ დავრწმუნდით, რადგან ევროპარლამენტარები, მოქმედი თუ ყოფილი ჩინოსნები იგივე ნარატივს თავიანთ განცხადებებში იყენებენ.

ამით ოპოზიცია ზედაპირზე ტივტივს ახერხებს. ერთ-ერთ ოპოზიციურ არხზე განაცხადეს, ჩვენ დასავლეთში იმიტომ დავდივართ, დასავლეთი ამაში დავარწმუნოთ და პრორუსული ხელისუფლების მოცილებაში დაგვეხმაროსო. ამაზე გამჭვირვალედ რა უნდა ითქვას.

***– სამ თვეში საქართველოსთვის ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მინიჭებაზე დასკვნა უნდა დაიწეროს. ეს ნარატივი ხელს ხომ არ შეუშლის?***

– ხელს რომ არ შეუწყობს, ფაქტია. 2022 წელს, როდესაც უკრაინასა და მოლდოვას მისცეს სტატუსი, ხოლო საქართველოს არა, დავრწმუნდით, რომ ევროპაშიც ნაკლებად ხელმძღვანელობენ ფაქტებით და უფრო ხელმძღვანელობენ აღქმებით, ანუ საკითხებს ისე წყვეტენ, აქ მიმდინარე პროცესებზე როგორი აღქმაც აქვთ.

როდესაც აქედან ოპოზიციის, მისი სატელიტი არასამთავრობო ორგანიზაციების მოლაპარაკე თავების მხრიდან, მიწოდებულია ცალმხრივი ინფორმაცია, რომელიც ინტენსიურად, ლამის ყოველ წუთს, ყოველ წამს მიდის, საქართველოზე გარკვეული აღქმები უყალიბდებათ.

როგორც ჩანს, ამ მხრივ, ხელისუფლების კომუნიკაცია სათანადო დონეზე მაინც ვერ არის. დასავლეთთან კომუნიკაცია სათანადო დონეზე რომ იყოს, შენიშვნები, რეპლიკები და საყვედურები იქედან არ იქნებოდა. ევროპიდან ხომ გვესმის, ხელისუფლება რუსეთისკენ იყურებაო, მაგალითად, ავიამიმოსვლის აღდგენასთან დაკავშირებით და სხვა საკითხებზე.

საქართველოსთვის ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მონიჭების საკითხი ქვეყანაში პოლიტიკური ბრძოლის ინსტრუმენტად გადაიქცა, რაც სავალალოა. ოპოზიცია და ხელისუფლება ერთად კი არ მუშაობენ იმისათვის, რომ საქართველომ კანდიდატის სტატუსი მიიღოს, არამედ ოპოზიცია მუშაობს იმაზე, რომ „ქართული ოცნების“ ხელისუფლების პირობებში როგორმე სტატუსი არ მოგვანიჭონ.

# „სანქციები, მოსამართლეების მსგავსად, სხვებსაც უნდა შეეხოთ“

## შოთა მალაშხია: „საქართველოს მოსახლეობა ღირსია, რომ ევროკავშირის წევრობის კანდიდატობა მოგვანიჭონ, ხელისუფლების წარმომადგენლები კი უნდა დასანქცირდნენ“

მარიამ მჭედლიშვილი

რის საფუძველზე შეიძლება მოხდეს ოპოზიციის გაერთიანება? როგორ შეიძლება აიხსნას სააკაშვილის განზრახვები? განსხვავდება თუ არა საქართველოს მოქალაქეებისა და ხელისუფლების მისწრაფებები ერთმანეთისგან? რატომ განაპირობა ძალადობის ახალი ტალღა ქვეყანაში? ამ და სხვა საკითხებზე „ახალი თაობა“ ესაუბრა ქრისტიან-კონსერვატიული პარტიის თავმჯდომარეს, ყოფილ დეპუტატს, შოთა მალაშხიას.



**„მიაჩნია თუ არა ხალხს მესამე პრეზიდენტის გადაწყვეტილება ადეკვატურად, არჩევნებზე გამოამჟღავნებს“**

*– გახშირდა საუბარი ოპოზიციის გაერთიანებაზე. შესაბამისი ინიციატივით გამოდის ნაცმოძრაობა, რომელის სხვებს (არა ღიად პრორუსულებს) თავის გარშემო შემოკრებისკენ მოუწოდებს. არიან ისეთი პარტიებიც, რომელთა ლოზუნგია „ყველა ერთად ნაცმოძრაობის გარეშე“. ამას ამბობენ „ლელო“, პაატა დავითაია („ევროპული დემოკრატები“) და სხვა. თქვენ რას იტყვით?*

– კარგი იქნება, თუ ამ ფლანგის (ვგულისხმობ პროევროპულ, პროამერიკულ, არაანტიდასავლურ პარტიებს) ძალები საკუთარ ენერგიას სწორად წარმართავენ, ერთმანეთთან გაუთავებელ კამათს ჯობია, ძალები რუსეთის წინააღმდეგ მოქმედებში დახარჯონ. ისინი დროსა და ენერგიას ხარჯავენ უაზრო კინკლაობაში. როცა ამ მდგომარეობაში იმყოფები, რა აზრი აქვს გაერთიანებაზე ლაპარაკს?!

ერთობას რაღაც უნდა უძღვოდეს – სერიოზული ინიციატივა, იდეა, პროგრამა. ჯერ უნდა დაისვას საკითხი და მერე გაირკვევა, შესაძლებელია თუ არა მის გარშემო გაერთიანება თუ კოორდინაცია. უნდა გავარკვიოთ, როგორი იქნება 2024 წლის საპარალმენტო არჩევნები? ეს არჩევნები ძველებურად, ანუ უსამართლოდ ჩატარდება თუ რაღაც იცვლება? როგორი დამოკიდებულება გვაქვს რუსეთის მიმართ? ვუწევთ თუ არა ანგარიშს საერთაშორისო სიტუაციას, უკრაინის ომს? პირობითად, ეს რამდენიმე საკითხია, რომელმაც შეიძლება გააერთიანოს ან დაყოს ოპოზოციის ეს ფლანგი.

*– თქვენ, საარჩევნო გარემოს გაუმჯობესების გარდა, რომელ თემას მიიჩნევთ საკვანძოდ?*

– ქვეყნის ახლანდელ მდგომარეობას. რეალური სურათი მძიმეა. ჩვენ ყველანი უნდა დავფიქრდეთ, თუ საით მიჰყავს „ოცნების“ რუსულ ხელისუფლებას ქვეყანა.

*– სიტყვით ამაზე სხვა ოპოზიციონერებიც წუხან. მაგალითად, ლევან ხაბეიშვილს სულ „რუსული ხელისუფლება“ აკერია პირზე.*

– მე შეფასებებსა და დასაბუთებაზე ვლაპარაკობ. უნდა ვიმსჯელოთ, რატომ აღადგინა ფრენები კრემლმა, კიდევ რა მოითხოვა, რა უნდა მოჰყვეს ფრენებს. არის თუ არა დღის წესრიგში რკინიგზის (აფხაზეთზე გამავალი) ამუშავება. ეს ძალიან სერიოზული საკითხებია. რუსეთის ბევრი მოქალაქე დღეს საქართველოში იმყოფება, აქ ეწევა საქმიანობას, ქირაობს ბინას და ა.შ. კი ბატონო, იყვნენ, მაგრამ ჩვენ მათ მუდმივად უნდა ვახსენებდეთ, რა უმძიმესი დანაშაულები ჩაიდინა რუსეთმა საქართველოს წინაშე.

*– რანაირად?*

– ძალიან მარტივად. ბუკლეტებში, სარეკლამო ფურცლებში, კაფე-რესტორნების მენიუში უნდა მივუთითოთ, რომ რუსეთს ოკუპირებული აქვს საქართველოს 20%. უნდა მივაწეროთ ისიც, რამდენი ადამიანი დაგვეღუპა რუსეთთან ომების (აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში) დროს. რუსეთის მოქალაქეებმა უნდა იცოდნენ, სად ჩამოვიდნენ. ისინი მოწიწებით უნდა იქცეოდნენ და თავს ბატონ-პატრონებად არ გრძნობდნენ.

*– სააკაშვილის მხრიდან საქართველოს პოლიტიკაში აქტიურად ჩართვის დაანონსებაზე მინდა გკითხოთ. ამ ანონსში სენსაციური არაფერია. უბრალოდ, ამას წინ უძღვოდა განცხადებები იმის თაობაზე, რომ ის მძიმედაა, ასევე ის, რომ მას საქართველოს პოლიტიკა ოდნავადაც არ აინტერესებს. რას იტყვით?*

– ამ ვითარებას, როგორც ექიმი, ისე შევაფასებ. პოლიტიკურად არაფერს ვიტყვი. მიხეილ სააკაშვილი, მართლაც, მძიმედ იყო. მას ჰქონდა (დასკვენებითაც) მოწამვლის ნიშნები. საშინლად იმიტომ გახდა, რომ მოწამლული იყო და საკვებს ნორმალურად ვერ ჭამდა. შემდეგ გადასხმებისა და სხვა პროცედურების შედეგად, უკეთ შეიქმნა. ნაავადმყოფარი, ნაშიმშილარი ადამიანისთვის ოდნავ მეტი საჭმელიც პრობლემაა. საპროტესტო შიმშილობაში მიმიღია მონაწილეობა და ეს საკუთარ თავზე გამოცვადე.

*– ექსპრეზიდენტი გამომჯობინდა და ასეთი იდეა გაუჩნდა?*

– სიტუაციას ექიმის თვალით ვუყურებ. როგორც ჩანს, ის უარესად იყო. შემდეგ, ალბათ, თავი უფრო ენერგიულად იგრძნო. მისი გეგმები და მოქმედებები საზოგადოების განსასჯელია. მიაჩნია თუ არა ხალხს მესამე პრეზიდენტის გადაწყვეტილება ადეკვატურად, ამას არჩევნებზე გამოამჟღავნებს. მიხეილ სააკაშვილის სრული უფლება აქვს, თვითონ გადაწყვიტოს, უკრაინის პოლიტიკაში ერთვება თუ საქართველოს პოლიტიკაში (ან ოროვე ქვეყნის პოლიტიკაში). მანვე უნდა გადაწყვიტოს, დაუდგება თუ არა გვერდით ნაცმოძრაობას. მე მხოლოდ მის ჯანმრთელობაზე ვისაუბრე. საქართველოსთვის უდიდესი სირცხვილი იქნებოდა, რომ ქვეყნის ყოფილი პრეზიდენტი ციხეში მოეკლათ.

*– „გარდიანმა“ დაწერა დილემის შესახებ, რომელიც ევროკავშირს გაუჩნდა საქართველოს მიმართ. გამოცემის თქმით, ქართველები პროევროპულად არიან განწყობილნი იმ დროს, როცა „ქართული ოცნება“ და მისი ლიდერები პუტინს უახლოვდებიანო. დილემა ჩნდება საქართველოსთვის ევროკავშირის წევრობის კანდიდატობის საკითხის გადაწყვეტის წინ.*

– საქართველოს ახლანდელი ხელისუფლება რუსულია. ეს ადამიანები ფაქტობრივად არიან რუსები. ისინი ასრულებენ კრემლის დავალებებს და რუსი პატრონების წინაშე მათ მოვალეობები აქვთ. რუსეთისთვის საშინელებაა, თუ საქართველო გახდება ევროკავშირის წევრი (მანამდე – კანდიდატი). ამიტომ საქართველოს ხელისუფლება ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ ქვეყანამ ეს სტატუსი ვერ მიიღოს, ხან „რუსული კანონის“ მიღებას ცდილობს, ხან დეოლიგარქიზაციას ბლოკავს. საქართველომ რომ აღნიშნული სტატუსი მიიღოს, ეს ხელისუფლება პასუხს აგებს რუსი პატრონების წინაშე.

ამ სიტუაციაში საუკეთესო გამოსავალია ჩვენი მოსახლეობის სურვილის დაკმაყოფილება და ჩვენთვის სტატუსის მონიჭება. იმედია, იურიდიულად ეს შესაძლებელია. ხალხი სხვაა, ხელისუფლება – სხვა. საქართველოს მოსახლეობა ღირსია, რომ ევროკავშირის წევრობის კანდიდატობა მოგვანიჭონ, ხელისუფლების წარმომადგენლები კი უნდა დასანქცირდნენ. სანქციები, მოსამართლეების მსგავსად, სხვებსაც უნდა შეეხოთ. დასანქცირების ტენდენცია უნდა გაგრძელდეს. ეს იქნება საფუძველი იმისთვის, რომ ხალხი ამ ხელისუფლებას გადაირჩევს.

*– ბოლო დროს მომხდარი ძალადობის შემთხვევებს რას უკავშირებთ? ამ მხრივ გამოირჩა 17 ივნისი, სამი ინციდენტი იყო.*

– ეს ამტკიცებს ხელისუფლების სრულ აგონიას. ამ ყველაფრის ორგანიზატორი ხელისუფლებაა. იმ ძალებით, რასაც აკონტროლებს, ხელისუფლება ცდილობს ძალაუფლების შენარჩუნებას და განმტკიცებას.

ეს „ოცნების“ უგუნური გათვლაა. ძალადობა საქართველოში არ ჭრის. მოუწესრიგებლებიც ვართ, ხან პროტესტის გამოხატვა გვიჭირს, ბევრ რამეზე თვალს ვხუჭავთ (მაგალითად, კორუფციაზე), მაგრამ ქართველი კაცი ძალადობასა და თავისუფლების შეზღუდვას არ და ვერ ითმენს. ამიტომაც, ხელისუფლება ასეთი ძალადობრივი მოქმედებებით მიზანს ვერ მიაღწევს. საქართველოში ასეთი მეთოდებით ვერავინ ინარჩუნებს ხელისუფლებას.

# ფედერალური საბაჟო სამსახური: რუსეთის საზღვრებზე ყველაზე დიდი ტვირთბრუნვა ზემო ლარსზეა

რუსეთის სასაზღვრო-გამშვები პუნქტებიდან საქონლის გაფორმება-გატარების მხრივ ყველაზე დატვირთული ზემო ლარსის საავტომობილო საბაჟო პუნქტია. ამის შესახებ ფედერალური საბაჟო სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა რუსლან დავიდოვმა „რია ნოვოსტისთან“ ინტერვიუს დროს განაცხადა.



მისი თქმით, ზემო ლარსზე რუსეთში და რუსეთიდან დღეში, საშუალოდ, ათასი ავტომობილი გადაადგილდება. მაგალითად, დავიდოვის ცნობით, 19 ივნისს, მთელი დღის განმავლობაში საბაჟოზე სულ 1012 ავტომობილი იქნა გაფორმებული. ამის ერთ-ერთ მთავარ ფაქტორად ფედერაციის პირველი მებაჟე დასავლეთის სანქციების შემდეგ რუსეთის საგარეო ვაჭრობაში სამხრეთისა და აღმოსავლეთის ქვეყნების მიერ ევროკავშირის ბაზრის ჩანაცვლებას ასახელებს.

– ნათქვამია, წმინდა ადგილი ცარიელი არასდროსაა. ევროპასთან განყვეტის შემდეგ რუსეთი ახალ სავაჭრო გზებს აშენებს, – აცხადებს დავიდოვი.

კერძოდ, მისი მონაცემებით, ჩრდილოეთ კავკასიაში სატვირთო გადაზიდვების საერთო ზრდამ, შარშანდელთან შედარებით, 35% შეადგინა, რაც, ძირითადად, საავტომობილო გადაზიდვებმა განაპირობა. 10 ივნისის მდგომარეობით, ჩრდილო კავკასიის გავლით 7,8 მილიონი ტონა ტვირთი იქნა ტრანსპორტირებული, რაშიც მნიშვნელოვანი წილი საავტომობილო ტრანსპორტს უკავია.

– მოცულობა მეტად სოლიდურია. ასე რომ, ზემო ლარსიდან კარგი ამბები მოგვდის. მით უმეტეს, იქ დაპირებული ოთხი ზოლიდან სამი უკვე ჩაგვაბარეს ექსპლუატაციისთვის, – ამობობს პირველი მებაჟე.

რაც შეეხება საბაჟო კანონმდებლობის დარღვევას, დავიდოვის ცნობით, საკონტროლო-გამშვებ ფედერალურ პუნქტებზე ყველაზე გავრცელებული ფაქტებია ნარკოტიკებისა და სტრატეგიულად მნიშვნელოვანი საქონლის კონტრაბანდა, ასევე, საბაჟო გადასახადის გადაუხდელობა და თამბაქოს უკანონო ბრუნვა.

კერძოდ, იმავე ზემო ლარსზე ცოტა ხნის წინ ფედერალურმა საბაჟო სამსახურმა ალუბლის გადამზიდავ მანქანაში კონტრაბანდული სიგარეტი გამოავლინა.

– ყველანაირად ცდილობენ, ჩვენთან უკანონოდ შემოიტანონ სიგარეტი, რადგან რუსეთში აქციზი მაღალია. თუმცა, საზღვარზე „გაძვრენის“ გათვლა მეტად სარისკოა, რადგან ქვეყანაში შესატანი ტვირთიდან ინსპექციურ-ჩხრეკვითი სკანერებით, თითქმის, ყველაფერს ვამოწმებთ, – აცხადებს დავიდოვი.

# ვის საკუთრებაშია კომპანია „ჯორჯიან მანგანეზი“

უკვე 15 დღეა ჭიათურელი მაღაროელების გაფიცვა გრძელდება. გაჩერებულია ყველა მაღარო. კომპანია „ჯორჯიან მანგანეზის“ თანამშრომლები 14 პუნქტის დაკმაყოფილებას მოითხოვენ და პროტესტის იმგვარ უკიდურეს ფორმებს მიმართავენ, როგორებიცაა შიმშილობა, თვალებისა და პირის ამოკერვა.

პუნქტებს შორისაა ხელფასის 40%-ით ზრდა, 2023 წლის 1-ელ თებერვლამდე არსებული გრაფიკის/გეგმის დასრულება, ყველა ბანკში სესხის პროცენტის დარიცხვის შეჩერება და გადახდის გადავადება, აქამდე დარიცხულის გასტუმრება, ულუფის გაუმჯობესება, უსაფრთხოების კონტროლი და ა.შ.

ეს „ჯორჯიან მანგანეზთან“ დაკავშირებული პროტესტის პირველი შემთხვევაა არაა და ახლო წარსულში კომპანიის ისტორია მრავალ საეჭვო და საკამათო საკითხს მოიცავს.

ჭიათურაში მანგანუმის მოპოვების საქმეში კომპანია 2000-იანი წლებიდან ჩნდება. არასამთავრობო ორგანიზაცია „მწვანე ალტერნატივას“ ინფორმაციით, 1993 წელს შექმნილი „ჭიათურმანგანუმის“ სააქციო საზოგადოების პრივატიზების მრავალწლიანი მცდელობა წარმატებით მხოლოდ 2005 წელს დასრულდა. აუქციონში ერთადერთმა მონაწილემ – „ჯორჯიან მანგანეზ ჰოლდინგ ლიმითედმა“ გაიმარჯვა, რომელიც მანამდე ვარციხის ჰიდროელექტროსადგურების კასკადისა და ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის მფლობელი გახდა.

გარიგების მომენტში ის ცნობილი ბრიტანული კომპანიის, „სტემკორის“ შვილობილი იყო. 2006 წლის ბოლოს „სტემკორმა“ ჰოლდინგის 75% უკრაინულ „პრივატ ჯგუფს“ მიჰყიდა, რომელიც, თავის მხრივ, 2007-2014 წლებში საქართველოში „ტაო-პრივატ ბანკს“ ფლობდა. კომპანია „პრივატის“ დამფუძნებლები უკრაინის უმდიდრეს ადამიანთა ათეულში შემავალი იგორ კოლომოისკი და გენადი ბოგოლუბოვი არიან.

აღსანიშნავია, რომ 2021 წელს აშშ-ის ადმინისტრაციამ იგორ კოლომოისკის წინააღმდეგ სანქციები დააწესა და მას ქვეყნის ტერიტორიაზე შესვლა აეკრძალა. აშშ-ის სახელმწიფო მდივნის, ენტონი ბლინკენის განცხადებით, სანქციები უკრაინაში დასავლეთის მიერ მხარდაჭერილი რეფორმების წინააღმდეგ განხორციელებულ ქმედებებს უკავშირდებოდა.

2013 წელს „პრივატ“ ჯგუფმა „ჯორჯიან მანგანეზი“ და მის საკუთრებაში არსებული ვარციხეჰესების კასკადი თავის ამერიკულ ჰოლდინგზე, „ჯორჯიან ამერიქენ ელოისზე“ გადააფორმა და ეს საზოგადოებაში ახალი მენეჯმენტის მოსვლად გასაღდა.

„ჯორჯიან ამერიქენ ელოისზი“ არის ლუქსემბურგის საჰერცოგოში დაფუძნებული კომპანია, რომლის სათავო ოფისი მდებარეობს აშშ-ში, მაიამიში. კომპანია აწარმოებს მაღალი ხარისხის ფეროშენადნობს, რომელსაც გამოიყენებს რკინის წარმოებისთვის მისი შვილობილი კომპანიების მეშვეობით.

ახალმა მენეჯმენტმა პრობლემების მოგვარების პირობა დადო, თუმცა, მოვლენები სხვაგვარად განვითარდა. 2013-2017 წლებში „ჯორჯიან მანგანეზს“ გარემოსთვის მიყენებული ზიანისთვის 416 მილიონი ლარის ჯარიმა დაეკისრა. ამ საბაბით, 2017 წელს სახელმწიფომ კომპანიაში, სამი წლით, სპეციალური მმართველი დანიშნა „ქართულ ოცნებასთან“ დაახლოებული ნიკოლოზ ჩიქოვანი. ჩიქოვანის დანიშვნის შემდეგ, კომპანიას თითქმის ნახევარი მილიარდი ლარის ჯარიმა ჩამოაწერეს.

სპეციალურ მმართველს 14 პირობის შესრულება დაევალა, თუმცა, მას შემდეგ, რაც ისინი არ შესრულდა, დანიშნულ მმართველს ვადა სამი წლით 2020 წელს გაუგრძელეს.

მოგვიანებით, თბილისის საქალაქო სასამართლომ კიდევ 2 წლით გააგრძელა შპს „ჯორჯიან მანგანეზის“ სპეციალური მართვის რეჟიმი. სპეციალურ მმართველად ბესიკ კირთაძე დაინიშნა, რომლის გამოცდილების შესახებაც ინფორმაცია არ იძებნება. საჯარო რეესტრიდან ამოღებული დოკუმენტებით ირკვევა, რომ გიორგი კაპანაძე კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარედ რჩება.

ცნობისთვის, 19 ივნისს მორიგი მოლაპარაკება გაიმართა იმერეთის სახელმწიფო რწმუნებულის, ჯანდაცვის სამინისტროს შრომის ინსპექციის სამსახურის უფროსის, ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერისა და მედიატორის მონაწილეობით.

შეხვედრაზე რამდენიმე გადაწყვეტილებაც მიიღეს, მათ შორისაა, 2023 წლის პირველ თებერვლამდე არსებულ ძველ სამუშაო პირობებზე დაბრუნება, პირველ ეტაპზე ხელფასის 5%-იანი ზრდა და კომპანიაში აუდიტის ჩატარება. თუმცა, გაფიცულებისთვის ეს საკმარისი არ აღმოჩნდა და პროტესტმა ჭიათურიდან თბილისში, საქართველოს პარლამენტთან გადმოინაცვლა.

# შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა კამპანიის – „ნუ წაართმევ ბავშვობას“ ფარგლებში სკოლის მოსწავლეებთან საინფორმაციო შეხვედრები გამართეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტის თანამშრომლები, სამინისტროს საინფორმაციო კამპანიის – „ნუ წაართმევ ბავშვობას“ ფარგლებში, ადგილობრივი საპოლიციო დანაყოფებისა და სსიპ – საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრ 112-ის წარმომადგენლებთან ერთად, აჭარის, კახეთის, შიდა ქართლის, სამცხე-ჯავახეთის, ქვემო ქართლის, მცხეთა-მთიანეთის რეგიონებისა და თბილისის სკოლების 500-მდე მოსწავლეს შეხვდნენ.

საინფორმაციო შეხვედრების ფარგლებში, სკოლის მოსწავლეებთან განხილულ იქნა ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორებიცაა: ბავშვობის ასაკში ქორწინება და საზიანო პრაქტიკები, არსებული გამოწვევები, ბავშვთან ქორწინების მოტივით ჩადენილი დანაშაულებისადმი შინაგან საქმეთა სამინისტროს მიდგომები. ასევე, მოსწავლეებთან ყურადღება გამახვილდა ამ კატეგორიის დანაშაულების აღმოფხვრის თვალსაზრისით საზოგადოების ჩართულობის მნიშვნელობასა და პოლიციისადმი მიმართვის გზებსა და საშუალებებზე.

კამპანიის ფარგლებში, საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ ყველა საჯარო და კერძო სკოლაში განთავსდა საინფორმაციო ხასიათის პოსტერები. პოსტერებზე ადრეულ ასაკში ქორწინებასთან დაკავშირებულ საკითხებსა და პოლიციისადმი მიმართვის გზებზე მოსწავლეებისთვის საჭირო ინფორმაციაა დატანილი.

კამპანია – „ნუ წაართმევ ბავშვობას“ მეოთხე წელია, გაეროს მოსახლეობის ფონდთან (UNFPA) თანამშრომლობით იმართება. მისი მიზანია ბავშვობის ასაკში ქორწინების ხელშემწყობი დანაშაულების აღმოფხვრა და ამ საკითხზე საზოგადოების ცნობიერების ამაღლება, ასევე, აღნიშნული კატეგორიის საქმეების შესახებ სამართალდამცველებისთვის დროული შეტყობინების უზრუნველყოფა.



# შინაგან საქმეთა სამინისტრომ არასრულწლოვნებით ვაჭრობის ფაქტზე 1 პირი დააკავა



შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს ტრეფიკინგის და უკანონო მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოს თანამშრომლებმა, 1985 წელს დაბადებული წარსულში ნასამართლევი მ.ბ. არასრულწლოვნებით ვაჭრობის ბრალდებით დააკავეს.

დანაშაული 14-დან 17 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებული მ.ბ. ფინანსური სარგებლის მიღების მიზნით, არასრულწლოვანი გერების – 2006 წელს დაბადებული რ.პ.-ს და 2007 წელს დაბადებული მ.პ.-ს შრომით ექსპლუატაციას სისტემატურად ახდენდა.

ბრალდებული მათ ნაგვის ურნებიდან სხვადასხვა ნივთების შეგროვებას და ჩაბარებას აიძულებდა, გამომუშავებულ თანხას სრულად ისაკუთრებდა.

იმ შემთხვევაში თუ არასრულწლოვნები არ დაემორჩილებოდნენ მ.ბ.-ს მოთხოვნებს, ბრალდებული მათ ფიზიკურად უსწორდებოდა.

გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 143-ე პრიმა მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს.

# სასამართლომ გიორგი გაბუნიას „რუსთავი 2“-დან გათავისუფლება უკანონოდ მიიჩნია და ტელეკომპანიას კომპენსაციის გადახდა დააკისრა



თბილისის საქალაქო სასამართლომ გიორგი გაბუნიას „რუსთავი 2“-დან გათავისუფლება უკანონოდ მიიჩნია და ტელეკომპანიას მის სასარგებლოდ კომპენსაციის გადახდა დააკისრა. გადაწყვეტილება დღეს გახდა ცნობილი. ადვოკატის შეფასებით, კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ „რუსთავი 2“-ის ახალმა ხელმძღვანელობამ ჟურნალისტისა და ტელეწამყვანის წინააღმდეგ უსამართლო გადაწყვეტილება მიიღო.

შეგახსენებთ, რომ 2019 წელს „რუსთავი 2“-ის გენერალურმა დირექტორმა პაატა სალიამ მოქმედი მფლობელისა და ხელისუფლების მიმართ კრიტიკულად განწყობილი ჟურნალისტები გაათავისუფლა, მათ შორის იყო გიორგი გაბუნიაც, რომელიც იმ დროისთვის შვებულებაში იმყოფებოდა.

# ნაციონალური მოძრაობის, „დროას“ და „გირჩი – მეტი თავისუფლებას“ წევრების სასამართლო პროცესი 25 ივლისს გაგრძელდება



გურჯაანის რაიონულ სასამართლოში ერთიანი ნაციონალური მოძრაობის, „დროას“ და „გირჩი – მეტი თავისუფლებას“ წევრების სასამართლო პროცესი 25 ივლისს გაგრძელდება.

პროცესი ხმაურის ფონზე მიმდინარეობდა, სიტყვიერი დაპირისპირება მოჰყვა შსს კახეთის პოლიციის სამხარეო დეპარტამენტის უფროსის მოადგილის გამოკითხვას, რა დროსაც სხდომათა დარბაზიდან აქტივისტი ნიკა ნარსია გააძევეს.

14 პირს შს სამინისტრო ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას, პოლიციელების კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობასა და წვრილმან ხულიგნობას ედავება. ისინი 20 მაისს, ყვარელში, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის, სერგეი ლავროვის სიძის ძმის ქორწილთან დაკავშირებით მიმდინარე საპროტესტო აქციაზე დააკავეს.

# საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის მიერ გამოტანილი დადგენილებები საჯაროდ გამოქვეყნდება




საკანონმდებლო ცვლილებების თანახმად, შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის მიერ გამოტანილი დადგენილებები, კანონით განსაზღვრულ ვადაში, სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე – www.police.ge – ზე გამოქვეყნდება.

საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის მიერ გამოტანილი დადგენილება ან გადაწყვეტილება, მოქალაქეს რეგისტრირებულ ან განცხადებაში მითითებულ მისამართზე გაეგზავნება. იმ შემთხვევაში თუ პირს დადგენილება ან გადაწყვეტილება ვერ ჩაბარდება, ბრუნდება ფოსტაში, და არაუგვიანეს 60 დღისა, განმეორებით იმავე მისამართზე გაეგზავნება. განმეორებით გაგზავნილი დოკუმენტების ჩაუბარებლობის შემთხვევაში, დაბრუნდება შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტში მისი საჯაროდ გამოქვეყნების მიზნით.

ინფორმაცია დადგენილება/გადაწყვეტილების შესახებ, გამოქვეყნებისთანავე პირს მის მიერ განცხადებაში მითითებულ ნომერზე მოკლე ტექსტური შეტყობინების სახით გაეგზავნება.

გადაწყვეტილება პირისთვის ჩაბარებულად ჩაითვლება შინაგან საქმეთა სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნებიდან 30-ე დღეს.

# გიორგი კიკალეიშვილმა გიორგი გვარჯალაძეს ტექნიკა მოპარა






რეჟისორმა გიორგი კიკალეიშვილმა „ლენო რექორდსის“ ხელმძღვანელს გიორგი გვარჯალაძეს ტექნიკა მოპარა:

– გიორგი კიკალეიშვილმა მეტსახელად კიკალამ, ასევე ლევან კაპანაძემ, ასე გამეცნო, იქირავეს ჩემგან კამერები, 2 კამერა თავისი შტატივით და აქსესუარებით. ტელეფონით შემითანხმდა კიკალა და ფიზიკურად წაიღო ლევანმა. არც ერთთან არ ვმეგობრობ, ნაცნობია კიკალა, შევხვედრივარ, მეტი არაფერი. ლევანი ვერ ვიცანი, თვითონ მითხრა, რომ ჩემთან იყო. ახლა აღმოვაჩინე, რომ შეთანხმებულები იყვნენ, გაქრნენ და ჩემი ტექნიკაც გაქრა. არანაირ გადაღებაზე არ ყოფილან, რასაც რამდენიმე დღის განმავლობაში მეუბნებოდნენ, ვითომ ყვარელშია გადაღებაზე. გარდა იმისა, რომ „მოტეხა“ ჩემი ტექნიკა, კიდევ მწირავდა, რომ გადაღება ჩამშლოდა. მიმტკიცებდა, რომ გადაღებამდე ყოველ მიზეზგარეშე ჩემი კამერები დაბრუნდებოდა ჩემთან.

ახლა გავარკვიე, რომ ცნობილი ყოფილა სხვისი ტექნიკის დალომბარდებაში. რაღაც უსასრულო საერთო მეგობარი კი მყავს. აბა, ვინ მეგობრობთ ამასთან? ტიპებს გავატანე კამერები, „იქირავეს“, უნდა მოეტანათ. მთელი დღე ტელეფონს არ პასუხობდნენ. ახლა რაღაცებს მატყუებენ, არ მიბრუნებენ. არადა, მჭირდება, გადაღება მაქვს. ამ ბიზნესში ვინც ხართ, არ ვიცოდი ისევ ასეთი საყ..ვეთი თუა, ბოდიში, როგორ იქცევით? ვინმემ ხომ არ იცით, რა გადაღებაა ყვარელში? ვინმე ადეკვატური არ არის იქ, რომ დავურეკო?

ვერ ვისვენებ, მაპოვნინეთ ეს ცუდი ადამიანები რა? პოლიციაში განვაცხადე და ხვალ მოდიო, ამაღამ ხომ არ დავიჭერთო.

ჩაწერაზე ვარ. ვერ ვეძებ ამ ნაძირლებს, არ მცალია. ეს ის ჩაწერაა, რაც ამათ მიერ გატაცებული კამერებით უნდა გადამეღო. არაფერი ახალი არ არის. დილით ვიყავი პოლიციაში, განვაცხადე უკვე მეორედ, არ მაქვს იმედი, რომ რამე შედეგი მოყვება. ეს თაღლითები არ გამოსულან ხაზზე, გამორთული აქვთ ტელეფონები. მოკლედ ისევ ვეძებ ტექნიკას და ამ ორ ნაძირალას.

ხომ გავრცელდა ინფორმაცია, რომ ჩემი კამერები მოტყუებით მიითვისეს? ხომ ცხადია, რომ იმათაც გაიგეს ამის შესახებ. ვისაც მიუწვდება ხელი ინფორმაციაზე, თუ სადაა, რომელ ლომბარდშია ეს კამერები? ვინც მომაწვდის ინფორმაციას ჩემი ტექნიკის ადგილსამყოფელზე, ეგრევე ქეშად გადავუხდი 5.000 ლარს. თუნდაც ანონიმურად. სერიოზულად, ჩემი გარდაცვლილი შვილის, ლენოს თვალებს ვფიცავ!

ტიპს ნახევარი თბილისი გადაგდებული ჰყავს და არავინ დააჭერინა. აგერ, ვრეკავ პოლიციაში, ვეუბნები, რომ გაიტაცა ტიპმა ჩემი ნივთები, მაგრამ არ სცალია პოლიციას ამაღამ, ხვალ მივხედავთო. არადა, ვიყავი განყოფილებაში და ჩვენება მივეცი. ახლა დილით სხვა განყოფილებაში მოდიო. ანუ ტიპები დანაშაულის ცხელ კვალზე არ უნდათ დააკავონ. ღამე გამოიძინონ რა, დაისვენონ და ხვალ, თუ მანამდე არ მოხიეს სადმე, მარტო შტატივი ღირს 7.500 დოლარი. იქედან, რაც გაიტაცეს, დაიწყებენ გარკვევას, დასაჭერია თუ არა. ესაა საქართველო...

რაც პოლიციაში ვიყავი და განვაცხადე, ამის შემდეგ ლევანი გამოტყდა, რომ არანაირ გადაღებაზე არ ყოფილა, კიკალამ შარში გამხვიაო... სავარაუდოდ, ჩემი კამერები ან სადღაც ლომბარდშია, ან ვიღაცამ იყიდა, სადღაც არის. 2 მნიშვნელოვანი რაღაც მინდა თქვა, თურმე, ყველამ იცოდა, რომ კიკალა ასე ალომბარდებს რაღაცებს და გადამგდებია, პროფესიონალი აფერისტია ბევრი წელია. ეგ როგორ არ იცოდიო, მთელი ჩემი სამეგობრო მეუბნება. მოდით, ახლა ყველამ იცოდეს. ტიპმა გარდა იმისა, რომ ტექნიკა „ამახია“, კიდევ მწირავდა, იმასაც არ მეუბნება, რომ არ მოაქვს. ანუ მიმაყენა ისეთ მომენტში, რომ მის იმედზე ვიყო და მერე ღამე მომიწიოს კამერების ქირაობა ან შოვნა, ან ჩამეშალოს გადაღება და არავინ არ იცის, რამდენად მნიშვნელოვანია, წინასწარ შეთანხმებული სხვადასხვა უცხოელ პარტნიორებთან. ახლა მინდა ყველამ გაავრცელოთ, რომ ეს გიორგი კიკალეიშვილი, იგივე კიკალა, რომელიც ყველას ეძმაკაცება და ეფუთფუთება, ეს ტიპი არის აფერისტი.

მომხდართან დაკავშირებით სპეციალური განცხადება გაავრცელა „კიკალა სტუდიომ“, რომლის ხელმძღვანელიც მამუკა კიკალიშვილია:

– ბოლო დროს ხშირად მოგვმართავენ კომპანიები, რომლებიც დაზარალდნენ პიროვნება გიორგი კიკალეიშვილის ქმედებებით. იგი იყენებს „კიკალა სტუდიოს“ სახელს და შეცდომაში შეჰყავს კომპანიები. ძალიან გთხოვთ, გამოიჩინოთ ყურადღება და იყავით ფრთხილად, რადგან ეს პიროვნება არანაირ კავშირში არ არის შ.პ.ს. „კიკალა სტუდიოსთან“!

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ზალუჟნი უკრაინელ ჯარისკაცებთან გავიდა

უკრაინული არმიის სარდალი გენერალი ვალერი ზალუჟნი არაერთგზის გახდა ოკუპანტების თავდასხმის ობიექტი. ბრძოლის ველზე მას ვერაფერი დააკლეს, პირიქით, სწორედ ზალუჟნის ბრძნული ხელმძღვანელობის შედეგად უკრაინულმა არმიამ გაათავისუფლა კიევის ოლქი, განდევნა ოკუპანტები ხარკოვსჩინიდან, ოკუპანტებისაგან გაათავისუფლა ხერსონი. ამრიგად, ზალუჟნიმ ბრძოლის ველზე დაამტიცა, რომ პატრიოტი და კომპეტენტური მეთაურია.



ყველაფერმა ამან რუსებს დათვური სამსახური გაუწია. ზალუჟნის ავტორიტეტი კი ამაღლდა. უკრაინელები მას ლეგენდარულ რომან შუხევიჩს ადარებენ. ამან კრემლის რისხვა გამოიწვია. ოდიოზურმა პროპაგანდისტმა სოლოვიოვმაც განაცხადა:

– როცა მტერი არ ნებდება, მას ანადგურებენ! ზალუჟნიმ ნამდვილი ომი გამოგვიცხადა! ის ლიკვიდრებული იქნება!

პარადოქსია, მაგრამ ამ სიტყვებმა დონბასელი სეპარატისტები ალაშფოთა. საიტმა „რუსსკაია ვესნამ“ ზალუჟნის ვრცელი სტატია მიუძღვნა. მასში ნათქვამია:

– ზალუჟნი უკრაინელთა უმრავლესობის თვალში ეროვნული გმირია! მისი ლიკვიდაციაც არაფერს მოგვცემს. ზალუჟნის სამხედრო პატივით დამარხავენ, მის ნაცვლად კი უფრო რადიკალი მოღვაწე მოგვევლინება!

კრემლში ეს სიტყვები ჭკუაში დაუჯდათ. ზალუჟნის დისკრედიტაციაც ახალი ძალით წარიმართა. ე.წ. მამხილებელის რანგში ამჯერად თავად დიქტატორი პუტინი მოგვევლინა.

შემდეგ პუტინი უკრაინის ძირძველ ავადმყოფობაზე – კორუფციაზე, გადავიდა. ზალუჟნი იმ მცირერიცხოვან ადამიანთა ჯგუფს განეკუთვნება, რომლებიც კორუფციულ სქემებში არ მონაწილეობენ. მიუხედავად ამისა, პუტინმა აშკარად მიანიშნა, რომ ზალუჟნი კორუფციაში იყო გარეული. მან ჯარის ფული მიითვისა და გაიქცაო.

ამრიგად რუსეთის დიქტატორმა ყოველგვარი ადამიანური ღირსება დაკარგა. ის ჩვეულებრივ ოდიოზურ პროპაგანდისტად გადაიქცა, რომლის პროფესიაც ცილისწამებაა.

ზალუჟნისაც არავითარი თავის მართლება არ დაუწყია. ის უბრალოდ ფრონტის ხაზზე გავიდა და ჯარისკაცებს გაესაუბრა. ზალუჟნი ფრონტის იმ უბნებზე გამოჩნდა, სადაც ბრძოლები მიმდინარეობდა და რუსები შეტევაზე გადასვლას ლამობდნენ.

ამან შედგი გამოიღო. უკრაინულმა არმიამ მტრის იერიშები შეაჩერა. მეტიც, უკრაინელები გადავიდნენ კონტრიერიშზე და აიძულეს მტერი, უკან დაეხია.

ოკუპანტებმა უკან დაიხიეს და ეს ზალუჟნის უშუალო ხელმძღვანელობით მოხდა. ამრიგად, მან ცხადად უჩვენა ყველას, თუ რა ფასი აქვს პუტინის სიტყვებს.

# სტოლტენბერგი: ვილნიუსის სამიტზე უკრაინას ნატოში არ მიიწვევენ

როგორც ცნობილია, ევროკავშირმა უკრაინის ნატოში მიწვევას მხარი დაუჭირა, რამაც ევროპის რიგი ქვეყნების დედაქალაქებში დისკუსიები გამოიწვია. ამას წერტილი დაუსვა ნატოს გენერალურმა მდივანმა სტოლტენბერგმა:

– ვილნიუსის სამიტზე უკრაინას ნატოში არ მიიწვევენ, – თქვა სტოლტენბერგმა.

ნატოს გენერალურმა მდივანმა ხაზი გაუსვა, რომ უკრაინა ნატოს წევრი აუცილებლად გახდება, მაგრამ ეს მხოლოდ 1-2 წლის შემდეგ მოხდება.

– ახლა, მთავარია, რუსული აგრესიის განეიტრალება, – აცხადებს სტოლტენბერგი.

# გრძელდება პარტიზანული ბრძოლები მარიუპოლთან



გასული დღის განმავლობაში რუსი ოკუპანტები ინიციატივის ხელში აღებას ცდილობდნენ. ყველაზე მწვავე ბრძოლები კვლავ ბახმუტის, ავდეევკის და მარინკის მახლობლად გაიმართა.

ბახმუტთან რუსები შეეცადნენ, ფლანგებზე მოპოვებული უპირატესობა დაებრუნებიათ. ეს მარცხით დასრულდა. მტერმა დიდი ზარალით დაიხია უკან. ოკუპანტები შეეცადნენ, მარინკის მახლობლად რამდენიმე დასახლებული პუნქტის დაკავებას. მცდელობა ამაო გამოდგა. მსგავსი ვითარება მარინკასთანაც. აქ უკრაინელებმა ყველა პოზიცია შეინარჩუნეს.

ჩაიშალა ოკუპანტების მცდელობა, დაებრუნებინათ დაკარგული პოზიციები უგლედართან ან შახტარსკთან. ამაო გამოდგა მცდელობა, გადასულიყვნენ შეტევაზე ხარკოვის ოლქის ზოგიერთ ნაწილში. რუსებმა აქ მარცხი იწვნიეს და დიდი დანაკარგებით დაიხიეს უკან.

რაც შეეხება ზაპოროჟიეს მიმართულებას, აქ ინფორმაცია მწირია. ცნობილია მხოლოდ ის, რომ სატანკო ბრძოლები არ წყდება. პარალელურად გრძელდება პარტიზანული ბრძოლები მარიუპოლთან, ბერდიანსკთან, სევასტოპოლთან, სიმფეროპოლთან. რუსების მთელი ზურგი ცეცხლის ალში გახვეული.

# დანაკარგები რუსი ოკუპანტების რიგებში

თანახმად უკრაინის გენშტაბის ცნობისა, რუსი ოკუპანტების რიგებში შემდეგი დანაკარგებია: ტანკები – 3.997; ბრონირებული საბრძოლო მანქანები – 7.750; არტილერია – 3.888; ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვა – 372. განადგურებულია 222.460 ოკუპანტი.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

# რუსეთმა უკრაინა კვლავ დაბომბა

ფრონტებზე წარუმატებლობის პასუხად, რუსეთმა კვლავ დაბომბა უკრაინა. დაიბომბა ზაპოროჟიე, ნოკოლაევი, კიევი, ლვოვი, ხერსონი, ჩერნიგოვი, სუმი.

– სულ უკრაინის მიმართულებით 35 დრონი გაუშვეს. აქედან უკრაინის ჰაერსაწინააღმდეგო ძალებმა 32 ჩამოაგდეს, – იტყობინება უკრაინის გენშტაბი.

წარუმატებლობამ კრემლი გააცოფა. მზადდება დივერსიების ახალი კასკადი, კერძოდ, აფეთქებათა მთელი სერია დნეპროპეტროვსკის ოლქში. მიზანი უკრაინელთა მასიური კონტრშეტევის ჩაშლაა.

# მამაკაცმა თევზაობის დროს უცხოპლანეტელის მსგავსი არსება დაიჭირა



აშშ-ში მამაკაცი სათევზაოდ წავიდა და დაიჭირა არსება, რომელმაც მას ფილმებში ნანახი უცხოპლანეტური არსება მოაგონა. ერიკ ოსინსკი სათევზაოდ ნიუ-იორკის შტატში ტბა შამპლეინიზე იმყოფებოდა. მამაკაცის თქმით, მას ტბაში ჩამავალ ერთ-ერთ მდინარეში კალმახის დაჭერა სურდა, მაგრამ არ გაუმართლა.

– ორი დავიჭირე, მაგრამ ერთი გამექცა, სანამ მის ბადეში ჩასმას ვცდილობდი, მეორემ ძუა გაწყვიტა, – დაიჩივლა ამერიკელმა.

თუმცა, მალე მისი ნადავლი აღმოჩნდა არსება, რომელიც მისთვის სრულიად უცნობი აღმოჩნდა. ის დაახლოებით 60 სანტიმეტრის სიგრძის იყო და თავდაპირველად გველთევზასა და წურბელას ნაზავი ეგონა. ოსინსკის თქმით, არსება მას ერთ-ერთი ფილმიდან უცხოპლანეტურ არსებას მოაგონებდა. თუმცა, შემდეგ გაირკვა, რომ მისი ნადავლი ზღვის მინოგი აღმოჩნდა. ამერიკელმა თავისი ნადავლის ფოტოსურათი სოციალურ ქსელებში გამოაქვეყნა, რომელმაც ასეულობით კომენტარი მიიღო.

– ვერც კი წარმოვიდგენდი, რომ ანკესით ასეთი ურჩხულის დაჭერა იყო შესაძლებელი, – დაწერა კომენტარში ერთ-ერთმა ინტერნეტ-მომხმარებელმა.

ოსინსკის თქმით, მან ნადავლი არ დაიტოვა, ფოტოსურათი გადაუღო და ისევ მდინარეში გაუშვა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

## კალეიდოსკოპი

# იპოვეს ერთი პენის ნომინალის 800 ათასი მონეტა



ამერიკის ქალაქ ლოს-ანჯელესში მამაკაცმა სახლის სარდაფის დალაგების დროს ერთი პენის ნომინალის 800 ათას მონეტას მიაგნო.

უძრავი ქონების 41 წლის აგენტის ჯონ რეიესის თქმით, მან ლოს-ანჯელესის ცენტრის მახლობლად მემკვიდრეობით მიიღო სახლი და მისმა ოჯახმა მისი მოწესრიგება გადაწყვიტა. სარდაფის დალაგების დროს ისინი ჯერ მონეტებით სავსე ერთ პაკეტს გადააწყდნენ, შემდეგ რძის რამდენიმე კოლოფს, შემდეგ კი ხურდა ფულით სავსე რამდენიმე ტომარას. მას შემდეგ თითქმის ერთი წელი გავიდა, მაგრამ მამაკაცი დღემდე ვერ ახერხებს ნაპოვნი თანხის ზუსტ დასახელებას. მისი მიახლოვებითი გამოთვლით ტომრებში დაახლოებით 800 ათასი ერთცენტიანი მონეტაა, რაც რვა ათასი დოლარის ეკვივალენტურია.

თუმცა, ხურდა ფულის კუპიურებზე გადაცვლა არც ისე ადვილი აღმოჩნდა. უახლოესი ბანკის განყოფილებაში ამ ოპერაციაზე უარი უთხრეს, რის მიზეზად საცავში უადგილობა დაასახელეს. მაშინ მამაკაცი კალიფორნიის შტატის ქალაქ ონტარიოში გაემგზავრა, სადაც მას ნაცნობი ბანკის თანამშრომელი ჰყავდა. იქ მას ურჩიეს, ისე უბრალოდ არ გადაცვალოს ხურდა ფული კუპიურებზე. დაათვალიეროს ყოველი მონეტა, ვინაიდან, მათ შორის, შესაძლოა ისეთი ეგზემპლარებიც აღმოჩნდეს, რომელთა ფასი შესაძლოა რამდენიმე ათეული ან ასეული ათასი დოლარიც კი იყოს.

რეიესი შეეცადა ნუმიზმატიკაში გარკვეულიყო და უიშვიათესი პენისთვის მიეგნო, მაგრამ ეს მეტისმეტად რთული ამოცანა გამოდგა. მას შემდეგ კი, როდესაც ყველა იმედი გადაეწურა, ტელევიზიას მიმართა, სადაც საკუთარ ისტორიაზე ისაუბრა. გადაცემის ეთერში გასვლის შემდეგ მან შეთავაზება მიიღო სერიოზული კოლექციონერისგან, რომელიც მზადაა მთლიანად განძში 25 ათასი დოლარი გადაუხადოს, ანუ მის ნომინალურ ღირებულებაზე სამჯერ მეტი.

# როკ-კონცერტზე მაყურებელმა მამაკაცს ყური მოაკვნიტა



ბრიტანეთის ქალაქ მანჩესტერში გამართული როკ-კონცერტის აგრესიული მაყურებელი ორ მამაკაცს თავს დაესხა და ერთ-ერთ მათგანს ყური მოაკვნიტა.

როჯერ უოტერსის კონცერტის დასრულების შემდეგ ავტოსადგომის ლიფტთან უცნობი პიროვნება 23 წლის ლაიამ სემპტონს და მის 18 წლის ძმას მარკს ჩაუსაფრდა. ის მათ ჯერ უყვიროდა, შემდეგ კი, მოულოდნელად, მარკს დაეძგერა და ხელებზე კბენა დაუწყო. როდესაც ლაიამი უმცროსი ძმის დაცვას შეეცადა, უცნობმა მას ყური მოაჭამა.

დაშავებული ახალგაზრდა მამაკაცი საავადმყოფოში გადაიყვანეს. ექიმებმა მისთვის ყურის მიკერება სცადეს, მაგრამ მათმა მცდელობამ შედეგი ვერ გამოიღო. ასე რომ, მას ახლა რეაბილიტაციის ხანგრძლივი კურსის გავლა მოუწევს და, შესაძლოა, ოპერაციაც დასჭირდეს.

სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებმა მომხდარის გამოძიება დაიწყეს. ისინი აპირებენ მოიძიონ ინციდენტის თვითმხილველები და მათ ჩვენება ჩამოართვან.

# 123 წლის ქალწული შეყვარებულზე ოცნებობს



რუანდელი 123 წლის ქალწულმა ტერეზია ნირაკაჯუმბამ აღიარა, რომ ოცნებობს, ბოლოს და ბოლოს, სიყვარული იპოვოს. მან საკუთარ მარტოხელა ცხოვრების ისტორიაზე და იდეალური მამაკაცის პოვნის ოცნებაზე ისაუბრა ვიდეოში, რომელიც იუთუბზე იქნა გამოქვეყნებული.

ქალი პატარაობიდან მკაცრი წესების დაცვით იზრდებოდა. საქმრო მისთვის მშობლებს უნდა გამოეძებნათ, მაგრამ მათ ეს არასდროს გაუკეთებიათ. მას არასდროს უნახავს შიშველი სხეული და არც არავინ ჰყვარებია. თუმცა, იმის იმედი, რომ ის იდეალურ მამაკაცს შეხვდებოდა, არასდროს დაუკარგავს.

ნირაკაჯუმბამ ასევე განაცხადა, რომ მრავალი წლის მანძილზე ოცნებობდა შეხვედროდა იმას, ვინც მას მთელი სულითა და გულით შეიყვარებდა. ამავე დროს მარტოობამ მას მამაკაცების მიმართ ერთგვარი შიში ჩაუნერგა და მისგან მხოლოდ სიბერეში განთავისუფლდა.

– სანამ ახალგაზრდა ვიყავი, მამაკაცებთან ურთიერთობას გავურბოდი და ამან ჩემი მომავალი განსაზღვრა. მაგრამ ახლა თქვენ შეგიძლიათ დამეხმაროთ და ვინმე გამაცნოთ, – მიმართა ქალმა მაყურებლებს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

## შედეგები

19 ივნისი

ფეხბურთი

### ევრო 2024. შესარჩევი ეტაპი

| | |
|---|---|
| ირლანდია-გიბრალტარი | 3:0 |
| საფრანგეთი-საბერძნეთი | 1:0 |
| ინგლისი-ჩრ. მაკედონია | 7:0 |
| უკრაინა-მალტა | 1:0 |
| სომხეთი-ლატვია | 2:1 |
| თურქეთი-უელსი | 2:0 |
| ფინეთი-სან მარინო | 6:0 |
| სლოვენია-დანია | 1:1 |
| ჩრ.ირლანდია-ყაზახეთი | 0:1 |
| ბელარუსი-კოსოვო | 2:1 |
| ისრაელი-ანდორა | 2:1 |
| შვეიცარია-რუმინეთი | 2:2 |

### კონკაკაფის ერთა ლიგა

ფინალი

| | |
|---|---|
| კანადა-აშშ | 0:2 |

მესამე ადგილისთვის

| | |
|---|---|
| პანამა-მექსიკა | 0:1 |

### ამხანაგური მატჩები

| | |
|---|---|
| ფილიპინები-ჩინეთის ტაიპეი | 2:3 |
| ჰონკონგი-ტაილანდი | 0:1 |
| იამაიკა-იორდანია | 1:2 |
| ინდონეზია-არგენტინა | 0:2 |
| კატარი-ა.ზელანდია | 0:1 |

### ამხანაგური მატჩები (21)

| | |
|---|---|
| უნგრეთი-ისლანდია | 0:1 |
| მონტენეგრო-პოლონეთი | 1:2 |

## განცხადებები

● კუჭ-ნაწლავის პრობლემების მოგვარება: შეკრულობა (ყაბზობა, სველი და მშრალი კოლიტი), დიარეა, გასტრიტი, დისბაქტერიოზი, ენტერიტი, პარაზიტები, უსიამოვნო სუნი პირიდან. მხოლოდ მცენარეული საშუალებებით. მის: ალმაშენებლის №154. ექიმი – მზია. ტელ: 593 44 58 65.

● მამაკაცებისთვის: პოტენციის დაქვეითება, პროსტატიტი, ადენომა და მისგან გამოწვეული პრობლემები (გახშირებული და უნებლიე შარდვა, სუსტი და გაორებული ნაკადი, შეკავება-შეუკავებლობა), ბაქტერიული და სოკოვანი ინფექციები (წვა, ქავილი, ტკივილი). პრობლემების მოგვარება გვერდითი მოვლენების გარეშე გარანტიით. ტელ: 599 25 44 14; 593 44 58 65. მის: ალმაშენებლის №154.

● მამაკაცებისთვის: სქესობრივი უძლურების, შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის, ადენომის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-ნორ მალიზება, პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობის, წვის, ტკივილის, ქავილის, გაორებული, წყვეტილი და უნებლიე შარდვის (ბავშვებშიც!) აღმოფხვრა, ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციებისგან გაწმენდა, რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება სწრაფი კვლევებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38.

● ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოპოროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრით, სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილის, გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა. სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, დაბუჟების, კრუნჩხვების მოხსნა, გაჯანსაღება საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციები სახსრების 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, მრავალწლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-91-37-65 ან 247-58-83.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა – რეალური გამოსავალი!!! ნევროზის, დეპრესიის, შიშების, უძილობის, აკვიატებული აზრების, აგრესიის, „თეთრი ცხელების“, ძილის პროცესების დარღვევის, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების მოწესრიგება გონებრივი შესაძლებლობების აღდგენით, ღვიძლისა და სისხლის გაწმენდა (დეტოქსიკაცია) საჭირო კვლევებით. ტელ: 599-72-21-38.

# ალთუნაშვილი ვოლფსბერგერში გადავიდა, საზონოვს ჰამბურგი აკვირდება



საქართველოს ნაკრებისა და ბათუმის დინამოს ნახევარმცველი სანდრო ალთუნაშვილი ავსტრიული ვოლფსბერგერის ფეხბურთელია. კლუბის განცხადებით, 26 წლის ქართველთან 2+1 სისტემის კონტრაქტი გაფორმდა.

ჩვენი ინფორმაციით, ავსტრიულმა მხარემ დინამოს ფეხბურთელის სანაცვლოდ 200.000 ევრო გადაუხადა.

**მანფრედ შმიდტი, ვოლფსბერგერის მთავარი მწვრთნელი:**

– სანდრო ალთუნაშვილთან კონტაქტზე დიდი ხანია ვმუშაობდით. მოხარულები ვართ, რომ ცენტრალური ნახევარმცველის პოზიციაზე ტექნიკურად შესაბამისი ფეხბურთელის მოძიება მოვახერხეთ. მისი მენტალიტეტი და თამაშის გაგების უნარი ჩვენს კლუბს ძალიან უნდა წაადგეს.

გასული სეზონი ვოლფსბერგერმა მე-7 ადგილით დაასრულა. შეეძლო კონფერენსლიგაზეც ეთამაშა, მაგრამ ევროტურნირებზე გადასასვლელი მატჩის ნახევარფინალი ლუშტენაუსთან დამატებით დროში წააგო და მის მიღმა დარჩა.

შეგახსენებთ, რომ 2020-22 წლებში ვოლფსბერგერში ლუკა ლოჩოშვილი ირიცხებოდა, რომელიც ამჟამად იტალიური კრემონეზეს ფეხბურთელია.

ალთუნაშვილს საქართველოს ნაკრებში 2 მატჩი აქვს ჩატარებული და ამ დროისთვის ვილი სანიოლის გუნდთან ერთად შოტლანდიაში იმყოფება.

გერმანული მედიის ცნობით, საქართველოს ნაკრებისა და მოსკოვის დინამოს მცველი საბა საზონოვი, შესაძლოა, ჰამბურგში გადავიდეს.

იქაური მედია წერს, რომ 21 წლის ფეხბურთელი ცენტრალური მცველია, ფიზიკურად ძლიერი და ფინანსურად ხელმისაწვდომი.

საზონოვი მამით რუსია და დედით ქართველი. ფეხბურთის თამაში ზენიტის აკადემიაში დაიწყო, 2021 წლიდან კი, მოსკოვის დინამოში გადაბარგდა. 2022 წელს კი, საქართველოს მოქალაქეობა მიიღო და ჩვენს ნაკრებში 2 მატჩი ჩაატარა, ხვალიდან კი, საქართველოს ღირსებას ევროპის 21 წლამდე ჩემპიონატზე დაიცავს.

# მეშვიდე ფინალური ეტაპის მოლოდინში

21 ივნისიდან 8 ივლისის ჩათვლით საქართველო და რუმინეთი 21 წლამდე ევროპის ჩემპიონატს უმასპინძლებს. ცხადია, როგორც მასპინძელი, მონაწილეობას ჩვენი ნაკრებიც მიიღებს.

საქარველოს ასაკობრივ ნაკრებებს ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე აქამდე ექვსჯერ უთამაშიათ, მაგრამ 21-წლამდელები პირველად თამაშობენ.

პირველად ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე 1997 წელს რევაზ გაგუას 16-წლამდელთა ნაკრებმა ითამაშა. 1996 წლის ოქტომბერში გუნდი საკვალიფიკაციო ეტაპზე მასპინძელ საბერძნეთს დაუზავდა (4:4) და ბულგარეთთან (4:0) გაიმარჯვა, ჯგუფი მოიგო და ფინალური ეტაპის საგზურიც მოიპოვა.



გერმანიაში გამართულ ფინალურ ეტაპზე საქართველოს ნაკრებმა სამივე შეხვედრა წააგო: უნგრეთთან (3:6), იტალიასთან (3:5) და ბელგიასთან (1:5). სანუგეშოდ მხოლოდ ის დაგვრჩა, რომ ჯაკობია სამი გოლით ჩემპიონატის თანაბომბარდირი გახდა.

1999 წელს ევროპის ჩემპიონატზე თამაშის უფლება ვახტანგ კოპალეიშვილის გაწვრთნილმა 18-წლამდელთა ნაკრებმა მოიპოვა. გუნდმა შესარჩევ ჯგუფში ბულგარეთი 2:1 დაამარცხა, უნგრეთთან (0:0) კი, ფრედ ითამაშა.

ფლეი ოფში საქართველოს ნაკრებმა ჩეხეთს მოუგო: სტუმრად 2:2 ვითამაშეთ, შინ 2:1 ვიმარჯვეთ.

ფინალურ ეტაპზე იტალიასთან (0:2) და ესპანეთთან (1:4) წავაგეთ, ირალანდიას (3:3) კი, ფრედ ვეთამაშეთ. ამჯერადაც ჩვენებური ვალერი გაგუა (3 გოლი) ჩემპიონატის თანაბომბარდირი გახდა.

2001 წლიდან ფორმატი შეიცვალა – ევროპის ჩემპიონატები 17 და 19-წლამდელებში ჩატარდა. კობა ჟორჟიკაშვილის 17-წლამდელებმა ფინალური ეტაპის საგზური თბილისში, ბოსნია-ჰერცეგოვინასთან (2:0) და ისრაელთან (1:0) მოგების შემდეგ მოიპოვეს.

ფინალურ ეტაპზე კი პირველად მოხდა, რომ ჯგუფიდან გავედით: გერმანიასთან (1:1) და პოლონეთთან (1:1) ფრედ ნათამაშები მატჩების შემდეგ უნგრეთს (2:1) მოვუგეთ. თუმცა, მეოთხედფინალში მომავალ ჩემპიონთან, შვეიცარიასთან (0:3) დამარცხდა. სანდრო იაშვილი (4 გოლი) ევროპის ჩემპიონატის თანაბომბარდირი გახდა.

საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრები ევროპის ჩემპიონატზე ათწლიანი პაუზის შემდეგ გავიდა: 2012 წელს ვასილ მაისურაძის გუნდმა თბილისში გამართულ ელიტ-რაუნდში ესპანეთთან (1:1) ფრედ დასრულებული მატჩის შემდეგ შვედეთსა (1:0) და უკრაინას (1:0) მოუგო.

სლოვენიაში გამართული ევროპის ჩემპიონატი ყველაზე წარმატებულად უნდა ჩაითვალოს. გერმანიასთან (0:1) მარცხის შემდეგ საფრანგეთთან (1:1) ფრედ ვითამაშეთ და ისლანდიას (1:0) მოვუგეთ. ისტორიაში პირველად საქართველოს ასაკობრივი ნაკრები ნახევარფინალში გავიდა, სადაც მომავალ ჩემპიონთან, ნიდერლანდების ნაკრებთან 0:2 დამარცხდა და ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.

19-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატზე საქართველომ ორჯერ ითამაშა. პირველად ეს გია ცეცაძის გუნდმა მოახერხა. არადა, შესარჩევ ჯგუფში ურთულესი მეტოქეები ჰყავდა – ინგლისი (1:1), შოტლანდია (3:1) და ბელგია (2:0).

აი, ფინალური ეტაპი კი არ გამოუვიდათ: საფრანგეთი (0:0); სერბეთი (0:1); თურქეთი (2:4).

2017 წელს საქართველომ 19-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატს უმასპინძლა და საქართველოს ნაკრებმა თამაშის უფლება ავტომატურად მოიპოვა, მაგრამ გიორგი ყიფიანის გუნდი ჯგუფიდან ვერ გავიდა. ჩვენებმა ჯგუფში შვედეთს (2:1) მოუგეს, მაგრამ პორტუგალიასთან (0:1) და ჩეხეთთან (0:2) დამარცხდნენ.

ახლა 21 წლამდელების დროა. პორტუგალია ისევ ჩვენს ჯგუფშია. ასევე ბელგია და ნიდერლანდები...

# ქართულმა კლუბებმა ევროტურნირებზე მეტოქეები გაარკვიეს

შვეიცარიის ქალაქ ნიონში, უეფა-ს ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპის წილისყრა გაიმართა და გაირკვა საქართველოს ჩემპიონის, თბილისის დინამოს მეტოქე.

ჩემპიონთა ლიგის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე 30 კლუბი (15 წყვილი) ითამაშებს. მატჩები 11-12 და 18-19 ივლისს გაიმართება.

დინამო ბოლო წლებისგან განსხვავებით, ამჯერად განუთესავი იყო. შედეგად, დედაქალაქელებს მეტოქედ ყაზახური ასტანა ამოუვიდა. პირველ მატჩს გია ჭიაბრიშვილის გუნდი სტუმრად ჩაატარებს, ხოლო საპასუხო შეხვედრას თბილისში გამართავს.

ნიონშივე გაირკვა, უეფა-ს კონფერენს ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე საქართველოს სხვა გუნდების მეტოქეებიც. აქ პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე 62 კლუბი იასპარეზებს, მატჩები 13 და 20 ივლისს ჩატარდება.

კონფერენს ლიგაში ქართული კლუბებიდან განთესილი მხოლოდ საქართველოს ვიცე-ჩემპიონი დინამო ბათუმი იყო, ხოლო გორის დილა და თასის გამარჯვებული ქუთაისის ტორპედო – განუთესავები.

დილას მეტოქედ სლოვაკური დუნაისკაი სტრედა ერგო. პირველი მატჩი სლოვაკეთში გაიმართება, საპასუხო – გორში.

პირველ მატჩს სტუმრად ითამაშებს ბათუმის დინამოც, რომელსაც მეტოქედ ალბანური ტირანა ამოუვიდა.

საშინაო მატჩით გახსნის სეზონს ტორპედო, ვისი მეტოქეც ბოსნიური სარაევო იქნება.

# ევროპული თამაშები მძლეოსნებმა გახსნეს




ევროპის მესამე თამაშები ოფიციალურად დღეს გაიხსნება, თუმცა, მანამდე საქმეში მძლეოსნები ჩაერთვნენ, რომლებიც გუშინ კრაკოვიდან მოშორებით, ქალაქ ჩორზოუში სილესიას მძლეოსნობის მოედანზე გუნდურად გაეჯიბრნენ.

ქართველებიდან საუკეთესო შედეგი სოფიო შათირიშვილმა აჩვენა, რომელმაც ც ლიგის ტურნირში ბირთვი 15.86 მეტრზე ჰკრა და პირველი შედეგი აჩვენა.

ორ დისციპლინაში იასპარეზა ნინო წიქვაძემ. ჩვენებურმა ბადროს ტყორცნაში 30.75 მეტრით მე-8 შედეგი დააფიქსირა, ხოლო უროს ტყორცნაში უკეთესი იყო და 53.52 მეტრით მეხუთე ადგილზე გავიდა.

სამხტომში ლაშა ღუღელაური 15.91 მეტრით მესამე იყო.

100 მეტრზე სირბილში მინდია ენდელაძემ დისტანცია 10.56 წამში დაფარა, რაც მეოთხე ადგილისთვის აღმოჩნდა საკმარისი. ამავე დისციპლინაში ქალთა შორის ანა ხარჩილავა 12.55 წამით მე-12 იყო.

5000 მეტრზე სირბილში ასია ჩარუხჩიანმა ბოლო, მე-14 შედეგი აჩვენა; 400 მეტრზე ანა სოხაძის (58.94) მე-12 იყო; 400 მეტრზე სირბილში ლუკა ყუფუნია (50.59) მე-13 ადგილზე გავიდა; 800 მეტრზე თემურ მამედოვი (1.57.19) – მეცხრე; 3000 მეტრზე გიორგი ლომიძემ (9:54.95) მეშვიდე შედეგით მოგვიტანა ქულები; ამავე ადგილზე გავიდა ჭოკით მხტომელი 3.70 ლაშა ქარქუზაშვილი, რომელიც 3.70 მეტრიან თამასას გადაევლო.

მძლეოსანთა ტურნირი კიდევ ორ დღეს გაგრძელდება და საბოლოო შედეგი ამის შემდეგ დაითვლება.

ამასობაში გაირკვა საქართველოს რაგბის ნაკრების მეტოქეებიც. პოლონეთის ქალაქ კრაკოვში საქართველოს 7-კაცა ნაკრები იასპარეზებს და ოლიმპიადის საგზურის მოპოვებას შეეცდება.

უკვე ცნობილია, რომ ბესიკ ხამაშურიძის გაწვრთნილი გუნდი ევროპულ თამაშებზე ბ ჯგუფში, ესპანეთის, ბელგიისა და ჩეხეთის წინააღმდეგ ითამაშებს.

ა ჯგუფში ირლანდიამ, გერმანიამ, იტალიამ და პოლონეთმა დააკომპლექტეს, ხოლო გ ჯგუფში დიდი ბრიტანეთი, პორტუგალია, ლიეტუვა და რუმინეთი მოხვდნენ.

გამარჯვებული გუნდი 2024 წლის პარიზის ოლიმპიური თამაშების საგზურს მიიღებს, მეორე და მესამე გუნდი კი, მიზნის მიღწევას საკონტინენტთაშორისო შესარჩევი ტურნირის მოგებით შეეცდება.

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

# რობერტ ლევანდოვსკი: კამპ ნოუზე ისტორიას გრძნობ



ბარსელონას პოლონელმა შემტევმა რობერტ ლევანდოვსკიმ, სანამ სეზონი დაიწყება მედიასთან სადებიუტო წელზე ისაუბრა და მცირე ინტერვიუ მისცა.

***– მესი ინტერ მაიამიში გადავიდა. მინდა, გკითხოთ, ბარსელონაზე მედიაში გავრცელებულ ცნობებს თვალს ადევნებთ თუ არა?***

– ბარსაზე ინფორმაციების წაკითხვა რთულია. ბევრი გამოცემა კლუბზე ცუდად ან კარგად წერს. ყველამ იცის, რომ ისინი ყველაფერს იჭერენ, რის გამოც თვალის მიდევნებას აზრი არ აქვს.

როცა რამის გაგება მინდოდა, ვიცოდი, ვისთვის დამერეკა. ფეხბურთელმა გავრცელებულ ცნობებზე არ უნდა იდარდოს. უსარგებლოა იმის ნახვა, რომ დღეს რაღაცის შანსი 90%-ია, ხვალ კი – 10%.

***– როგორ შეაფასებდი ბარსაში სადებიუტო სეზონს?***

– რეკონსტრუქციის პროცესში მყოფი გუნდით ტიტულებისთვის ბრძოლა დიდებული გამოწვევაა. ბედნიერი ვარ, რომ ამ პროექტის ნაწილი გავხდი. ბარსელონასთან ერთად გატარებულ ყოველ დღეს, წუთსა და მატჩს ვაფასებ.

***– როგორი გრძნობაა „კამპ ნოუზე“ თამაში?***

– ისტორიას ვგრძნობ და ვხვდები, რატომაა ბარსა მეტი, ვიდრე კლუბი – რაღაც განსაკუთრებული გრძნობა მეუფლება. ყოველთვის, როცა ამ მაისურს ვატარებ, ვგრძნობ, რომ განსაკუთრებულ ადგილას ვარ. კულეების მხარდაჭერა ყოველთვის შესამჩნევია.

***– რა განსხვავებაა ბარსელონასა და ბაიერნს შორის?***

– ორგანიზაციის მხრივ ასეთი გრანდები ერთმანეთს ჰგვანან – დიდ განსხვავებას ვერ ვხედავ. მხოლოდ მენტალიტეტს გამოვარჩევდი – გერმანელები ესპანელებისგან განსხვავდებიან. ბარსელონაში ხალხი სულ იცინის. კატალონიის კლიმატი ასევე გეხმარება, რომ ღიმილიანი სახით გაიღვიძო, მიუხედავად იმისა, წინა დღე როგორი იყო.

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება
ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

## კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. ფაიფურის მწარმოებელი ბრიტანული ფირმა; 2. საზეიმო კონცერტის, სპექტაკლის დასკვნითი ნაწილი; 3. სწრაფმავალი, მოტორიანი სპორტული ნავი; 5. ჩასაბერი მუსიკალური ინსტრუმენტი; 7. სიმდიდრის ღვთაება ბერძნულ მითოლოგიაში; 9. სამგზავრო სარკინიგზო ვაგონის ერთ-ერთი ტიპი; 13. ბრაზილიის ფეხბურთელთა გუნდი; 15. ნაკურთხი წყალი; 16. საჭმელი სოკო; 18. ხელოვნების მუზეუმი ფლორენციაში.

**თარაზულად:** 4. ქალის ძველებური ხელჩანთა; 6. ცნობილი ჩეხი ძიუდოისტი მამაკაცი, მსოფლიო და ოლიმპიური მრავალგზის ჩემპიონი; 8. საქართველოს ნაკრებისა და „ნაპოლის“ ფეხბურთელი; 10. ჩაღრმავებული, გამოსახულებიანი, ძვირფასი, თლილი ქვა; 11. ქალაქი ინდოეთში, სადაც განთავსებულია ტაჯმაჰალის ტაძარი; 12. თურქი ჯარისკაცი; 14. ღვინის სასმისი; 17. პოპულარული ნიდერლანდური ყველი; 19. ეთერზეთოვანი, სურნელოვანი ყვავილი; 20. წყლის მცენარეების შემსწავლელი ბოტანიკოსი; 21. ტრაგედია „ოტელოს“ პერსონაჟი; 22. უკულტურო, ველური ადამიანი; 23. კანიონი წალკის რაიონში.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

## ნინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ფინო; 2. როდეო; 3. აგუნა; 4. ვოლვო; 5. ლეკალო; 6. ნიჟარაძე; 8. ინვესტიცია; 10. გენეალოგია; 11. ბალახვანი; 14. მარულა; 15. ლადარი; 16. სამბო.

**თარაზულად:** 1. ფსირცხა; 4. ვალტორნა; 7. ნანდუ; 9. ტანგო; 12. ტოშიბა; 13. კვოტა; 14. მაგატე; 17. ლიახვი; 18. მეგალომანია; 19. ჩარხილი; 20. სოკარი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ბაბაჭუა; 2. იუდოფილი; 3. არაბული; 5. შვეიცერი; 7. თავხედი; 9. რევოკაცია; 13. დუბლინი; 15. მახათა; 16. სტამბა; 18. სკიჯი.

**თარაზულად:** 4. კაბოშონი; 6. სკუდიერი; 9. კამბეჩოვანი; 10. წახნაგი; 11. ვალი; 12. მდოგვი; 14. ამური; 17. ქართუ; 19. ლხინი; 20. იმბეცილი; 21. აკრი; 22. საბურთალო; 23. ვიმპელი.

# ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge


ეროვნული ბიბლიოთეკა

21 ივნისი

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.6164

ევრო — 2.8602

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 3.3393

100 რუსული რუბლი — 3.1076




## ვიქტორ ოსიმენი ნაპოლიში რჩება



ნაპოლის ფორვარდი ვიქტორ ოსიმენი დიდი ალბათობით გუნდში დარჩება და კონტრაქტს გაახანგრძლივებს. ასეთი ინფორმაცია ვრცელდება იტალიურ მედიაში. ოსიმენს კონტრაქტი 2025 წლამდე აქვს და მისი შეძენით რამდენიმე გრანდი იყო დაინტერესებული, მათ შორის, ბაიერნი. ბაიერნი მზად იყო ტრანსფერში 40 მილიონი გადაეხადა, თუმცა, ამ თანხამ ნაპოლი არ დააკმაყოფილა და როგორც ჩანს, თვითონ ფეხბურთელსაც არ სურს სხვა გუნდში გადასვლა.

## კარლო ანჩელოტი მომავალ ზაფხულში ბრაზილიის ნაკრების მწვრთნელი გახდება

ბრაზილიის საფეხბურთო ფედერაციამ შეთანხმებას მიაღწია მადრიდის რეალის მთავარ მწვრთნელთან კარლო ანჩელოტისთან და მომავალ ზაფხულში ანჩელოტი ბრაზილიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი გახდება.



ჯერჯერობით, თვითონ ანჩელოტის ეს ინფორმაცია არ დაუდასტურებია, თუმცა, უკვე დიდი ხანია არის საუბრები იმის შესახებ, რომ ის ბრაზილიის ნაკრებს ჩაუდგება სათავეში.

## მარკუს რეშფორდი: „მანჩესტერ იუნაიტედს დიდი პოტენციალი აქვს“

მანჩესტერ იუნაიტედის ფორვარდმა მარკუს რეშფორდმა თავის გუნდზე და მის მომავალზე ისაუბრა და თქვა, რომ მანჩესტერს დიდი პოტენციალი აქვს, მაგრამ ამ პოტენციალს გამოყენება სჭირდება:

– მინდა, რომ მომავალ სეზონში ჩვენი პოტენციალი ბოლომდე გამოვიყენოთ და თუ ამას გავაკეთებთ, უმაღლესი მიზნებისთვის ბრძოლა შეგვეძლება. ჩემი გუნდისა და თანაგუნდელების მჯერა და უკეთეს სეზონს ველი.

*მოამზადა ბექა გოგინაშვილმა*

## იუმორი

მამა და შვილი ქუჩაში მიდიან, სკოლას გვერდით ჩაუარეს და მამა ეკითხება:

– შვილო, ამ სკოლაში სწავლობ?

– ჰო.

– 20 წლის წინ მეც ამ სკოლაში ვსწავლობდი.

– ახლა უკვე მივხვდი, რას გულისხმობდა ჩვენი სკოლის დირექტორი, როდესაც ამბობდა, რომ ჩემნაირი უტვინო ოცი წელია ამ სკოლაში არ ჰყოლიათ.

•••

ორი ნაცნობი საუბრობს. ერთი მეორეს ეკითხება:

– როგორ მიხვდი, რომ ცაცია ვარ?

– ცხვირის მარცხენა ნესტო უფრო ფართო გაქვს.

•••

ქალი ქუჩაში მიდის და უკან მამაკაცი მიჰყვება. ბოლოს ქალმა ვეღარ მოითმინა, მოუტრიალდა და ეკითხება:

– მთელი გზა უკან რატომ მომყვებით?

– იცით, რომ შემოტრიალდით, მეც სწორედ ეგ კითხვა დავუსვი საკუთარ თავს.

•••

სომხეთის რადიოს ეკითხებიან:

– რომელი უფრო ჭკვიანია კატა თუ ძაღლი?

– რა თქმა უნდა, კატა! სადმე გინახავთ, მარხილში შებმული ათი კატა ტუნდრაში ტვირთს მიათრევდეს?

•••

გოგონა მოხუც მამაკაცს ეუბნება:

– ბაბუა, შარვლის კარი ღია დაგრჩენიათ...

– შვილო, როდესაც სახლში მიცვალებული ასვენია, კარს ყოველთვის ღიას ტოვებენ...

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

## გიორგი კეკელიძემ ციხეებში შეხვედრები დაიწყო

ეროვნული ბიბლიოთეკის ხელმძღვანელმა გიორგი კეკელიძემ ციხეებში პატიმრებთან შეხვედრები დაიწყო:

– ქართულ ციხეებში ყოველთვიური შეხვედრების ციკლი დავიწყე მსჯავრდებულებთან. ცხადია, სრულიად უსასყიდლოდ. პარალელურად გრძელდება ჩვენი პროექტი დაწესებულებებში თანამედროვე ბიბლიოთეკების მოსაწყობად. საწყისი ეტაპი მსჯავრდებულების ბიბლიოთეკარებად გადამზადებაა, რომელსაც ჩვენი შესანიშნავი თანამშრომლები ციური კოჭლაშვილი და ია გორგიშელი უკვე 1 თვეა ახორციელებენ.



3 წელია ციხეში არ ვყოფილვარ. განვაახლე და ამიერიდან თვეში ერთხელ ვივლი სხვადასხვაგან. შევხვდი „უვადოებს“. მათგან ზოგს ვიცნობდი, ტელეფონით ვსაუბრობთ ხოლმე.

მორალიზმი ხომ მძაგს და მძაგს და ისედაც კედლებს მიღმა მყოფი ადამიანების რაღაც შორეული პედესტალიდან ჭკუის სწავლება, მეორე მხრივ, არც ყალბი და ბრტყელი სიტყვები მგონია მართებული: „აბა, ახლა გაქვთ უპირატესობა – წიგნები იკითხეთ, ჭადრაკი ითამაშეთ“ და მისთანანი. ჰოდა, ვუთხარი, რომ მე, შეიძლება, მათზე სასტიკი ფიქრები და სურვილები მქონია, მაგრამ იმით განვსხვავდებით, რომ ტაბუმ თუ კანონის შიშმა შემზღუდა. რომ საერთოდაც თავისუფლება თავის დაუფლება უფრო მგონია. კი არ მგონია, ციხის მაგალითით თავისუფლება ეგეც არის – „ნუ სდევ წადილთა ნებასა“. ცხადია, თავისუფლება ყოფითი გაგებით. მაგრამ ადამიანი დიდწილად ყოფითი არსებაა და ბროდსკისეული – „ციხე, არსებითად, არის სივრცის ნაკლებობა, კომპენსირებული დროის სიჭარბით“ და ალბათ, პირიქით, ფილოსოფიურ სადღეგრძელოდ უფრო გამოდგება, რაც უნდა სიმართლეს ჰგავდეს. ეგეთი ამბები მხოლოდ გარეთ მუშაობს გამჭრიახ მაქსიმებად. შიგნით კი, შიგნით – სულ სხვა ფიქრი დუღს. მით უფრო თუ „უვადო“ გქვია. რაზეც შევთანხმდით ისაა, რომ ცხოვრება გაძლების საქმეა და ხშირად სრულიად უსამართლო. სამართალი რომ ურმით დადის, ეგ ურემი სანამ შენთან მოვა, შეიძლება მასზე შემოსადები და გასასვენებელი იყო. განა პესიმისტური გამოდგა ეს ლაპარაკი. უბრალოდ, ვთქვით, რომ მოცემულობები უნდა მივიღოთ და მათი მიხედვით გავუყვეთ გზას და არა თვალახვეული. რომ ადამიანად ყოფნის უპირატესობა ფერსიცვალების უნარის ქონაა, რომ მონანიებაც ადამიანად ყოფნის მთავარი ნიშანია და რომ კიდევ შევხვდებით. 10 მსჯავრდებული იქნებოდა, სულ მცირე 18 წელი ჰქონდა თითოს მოხდილი. მერე დავტოვე 10 დამნაშავე. წესისამებრ გამჩხრიკეს და წამოვედი. ნელ-ნელა მოხშირდა ქუჩები, ქუჩებზე – ადამიანები. უდანაშაულო ადამიანები გულგრილი სახეებით და ჩქარი ნაბიჯებით. ის 10 დამნაშავე კი უკვე ბევრი კილომეტრით და 18 წლის მოშორებით იჯდა და ამ უდანაშაულო ადამიანებმა მათ შესახებ არაფერი იცოდნენ – საკუთარ საქმეებზე მიიჩქაროდნენ. და მგონი არც ის იცოდნენ, რომ „მკვირცხლთა ნებაზე არაა რბოლა, არც მამაცთა ნებაზეა ომი, არც ბრძენთა ნებაზეა პური, არც გონიერთა ნებაზეა სიმდიდრე, არც მცოდნეთა ნებაზეა მადლი, რადგან დრო და შემთხვევა განაგებს ყველაფერს“.

## გიორგი გიგაშვილი მარტა არგერიხთან ერთად დაუკრავს



ახალგაზრდა ქართველი პიანისტი გიორგი გიგაშვილი ლეგენდარულ პიანისტთან მარტა არგერიხთან ერთად გერმანიაში დაუკრავს:

– მარტა არგერიხთან ერთად ვუკრავ მის ფესტივალზე ჰამბურგში, 27 ივნისს. მეტს ვერაფერს ვიტყვი, უბრალოდ, ერთადერთი ის ვიცი, რომ ყველაზე ბედნიერი ვარ.

## ანუკი არეშიძე ჟურნალისტებს არ პასუხობს



დიზაინერი ანუკი არეშიძე ჟურნალისტებს არ პასუხობს.

**თამარ ჩერგოლეიშვილი:**

– ანუკი არეშიძემ უპასუხოს კითხვას, ეთანხმება თუ არა თავის ჯაგა ქმარს, რომ ელტონ ჯონის ცხოვრების ამბავი სიბინძურეა.

ურეკავენ ჟურნალისტები. კალაძის განცხადებას უნდა ავაკრა და ყველა გეი ანუ ყველა დიზაინერთან გავაგზავნო, ვისაც ეტენებიან უსაპნოდ. იცოდნენ, რომ ამ ვიღაც გორსალა ნუვო რიშებს ბინძურებად მიაჩნიათ, სანამ შეიტენიან.

პ.ს. სამწუხაროდ თამარ ივერი უფრო წარმატებულია თავის საქმეში, ვიდრე ეს ქალი – ამიტომ ისეთ სიამოვნებას ვერ მივიღებ, როგორიც თამარის დიდი სცენებიდან ჩახსნით მივიღე.

ანუკი არეშიძესთან რეკვას დღესაც გავაგრძელებთ და მერე უბრალოდ ქმრის თანხმობის ნიშნად მივიღებთ მის დუმილს და ხვალ უკვე წერილებს გავუშვებთ მოდის სახლებთან, რომ მისი ოჯახი უმცირესობების მიმართ სიძულვილს და ზიზღს აღვივებს და ძალადობის საფრთხეს უზრდის უდანაშაულო ადამიანებს, ძალაუფლების შესანარჩუნებლად.

ცხადია, დავურთავთ 17 მაისის და 5 ივლისის კადრებს და ავუხსნით, რომ მათი დაშვებით ცივილიზებულ ღონისძიებებზე, მოდის სახლები მწვანე შუქს უნთებენ ჰომოფობიას და ძალადობას.

და შევხედოთ მერე...

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

## ზაქარია ფალიაშვილის „დაისი“ ბელინის თეატრის რეპერტუარშია




ზაქარია ფალიაშვილის ოპერა „დაისი“ იტალიაში, კატანიის ბელინის საოპერო თეატრის რეპერტუარშია.

საოპერო სპექტაკლის პრემიერა 21 ივნისს გაიმართება. 3-მოქმედებიანი ოპერისთვის ლიბრეტო ვალერიან გუნიამ დაწერა.

იტალიაში „დაისს“ ზაზა აზმაიფარაშვილი უდირიჟორებს. ოპერის მომღერალთა შორის ქართველი მხოლოდ გიორგი ანდღულაძეა, კოსტიუმების მხატვარი გოგი ალექსი-მესხიშვილია, რეჟისორი კი გოჩა კაპანაძე.

**ლაშა ჩხარტიშვილი, თეატრმცოდნე:**

– კატანიის ბელინის საოპერო თეატრის სამხატვრო საბჭოსა და დირექტორატის სხდომაზე მიიღეს გადაწყვეტილება, ზაქარია ფალიაშვილის ოპერის „დაისი“ რეპერტუარში დატოვების შესახებ. ანუ, პროექტის ფარგლებში 3-ჯერ კი არ წარმოადგენენ, არამედ „დაისი“ იქნება რეპერტუარში სტაბილურად.

საოცრად სასიხარულო ამბავია, გილოცავ გოჩა კაპანაძე, ვულოცავ ისტორიული პროექტის ავტორს, ბატონ ბადრი მაისურაძეს, წარმომიდგენია რა გახარებულები ხართ და ვიზიარებ თქვენს სიხარულსა და გამარჯვებას.

21-ში პრემიერაა! წარმატება იტალიურ „დაისს“ და მის შემქმნელებს.

## თაკო ვადაჭკორია მომღერლებს: „კრიმინალია, რასაც ბევრი თქვენგანი ჩადის!“



მომღერალი თაკო ვადაჭკორია კოლეგებს მოუწოდებს საკუთარი თავისა და შრომის ფასი ისწავლონ:

– მომღერლებისა და ბენდების საყურადღებოდ მინდა ვთქვა: კრიმინალია, რასაც ბევრი თქვენგანი სჩადის იმის გამო, რომ ოღონდ სადმე იმღეროს. თუ საკუთარ შრომას და თავს თავად არ დააფასებთ, არც არასდროს დაგაფასებთ სხვა, მით უმეტეს, დამქირავებელი. ნებისმიერ ღონისძიებაზე იმიტომ კი არ უნდა მიგიწვიონ, რომ იაფად გამოვლენ, არამედ იმიტომ, რომ თქვენი შემოქმედების მოსმენა სურთ. სირცხვილია საკუთარი და სხვისი შრომის ასე გაუფასურება.

პ.ს. ამას იმიტომ არ ვამბობ, რომ ან როგორც სოლისტს ან ბენდს ივენთები მაკლია. უბრალოდ, უკვე ხშირად მესმის: „აუ, ისინი ძალიან ბიუჯეტურად დადიან“. ანუ 2 ლარად მილიონი სეტი. არ არის ნორმალური!

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. ტბა თბილისში; 2. მუსიკალური წამყვანი დისკოთეკაზე; 3. ქართველი საოპერო მომღერალი ქალი; 4. აგატა კრისტის ნაწარმოებთა პერსონაჟი, დეტექტივი; 5 მთა თბილისში; 6. ტვირთის გადატანა შუალედური პუნქტის გავლით; 8. თევზების შემსწავლელი ზოოლოგიის ნაწილი; 10. მსოფლიოში ყველაზე დიდი კუნძული; 11. აეროპორტი ბრიუსელში; 14. ამერიკელი მულტიპლიკატორი; 15. მგალობელი ჩიტი; 16. გერმანიის ფეხბურთელთა გუნდი.

**თარაზულად:** 1. მუნჯი კინოს კომიკოსი; 4. სარკაზმული პუბლიცისტური ნაწარმოები, სტატია; 7. ძვირფასი ლითონების რაოდენობის აღმნიშვნელი დამღა ოქროს, ვერცხლის პლატინის ნაკეთობებზე; 9. ავსტრალიური ველური ძაღლი; 12. ძველებური ქართული ცხენოსნური შეჯიბრება; 13. მოძღვრება ზნეობისა და მორალის შესახებ; 14. მიქელანჯელოს ქანდაკება; 17. კომპანია „სონის“ დამფუძნებელი; 18. გრიგოლ ორბელიანის პოემა; 19. უკრაინული ფარმაცევტული კომპანია; 20. ქვევრის ღვინოში არსებული მრთიმლავი ნივთიერება.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

